“-დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№3 (219)
მარტი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

ნესტან სულავა

ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრების მხატვრული ფუნქცია

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ პერსონაჟთა სიმრავლით გამორჩეული პოემაა, რომლის მოქმედება ვრცელ გეოგრაფიულ არეალზეა გაშლილი, ზოგი მათგანი რეალურად არსებული ქვეყანაა, ზოგი – გამონაგონი. ასევეა პერსონაჟთა გალერეაც, ისინიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. არც ერთი მათგანი ქართველი არაა, თუმცა, თითოეულ მათგანში ქართველი კაცის ხასიათი, თვისება, ინტერესი, თვალთახედვა გამოსჭვივის. ასევე, ქვეყნებში XII-XIII საუკუნების საქართველოს რეალური ისტორიული ვითარება, კულტურა, სახელმწიფოებრივი წყობა შეიგრძნობა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ***„შოთა რუსთაველის გმირებში ქართული გული ძგერს და მათ მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებთ“.***

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოქმედი გმირები რჩეული საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები არიან, რომლებიც სიყვარულის გასამარჯვებლად, პიროვნული სრულყოფილების მისაღწევად, პიროვნების აღორძინებისა და სულიერი სამყაროს ასამაღლებად, დაკარგული ჰარმონიის აღსადგენად იბრძვიან. ისინი ადამიანის არსებობის იდეალის სრულყოფისაკენ მიილტვიან და მის განსახორციელებლად ზრუნავენ. პოემის მთავარი პერსონაჟები არიან ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი და თინათინი, რომელთაგან უმთავრესნი არიან ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, რასაც თვით პოემის სახელწოდება მოწმობს. ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანში“ სამი გმირის შეთანხმებული მოქმედება აისახა, რაც პოემის დასაწყისშივე გაცხადდა: ***„მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონება“,*** ე.ი. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ერთად მოიაზრებიან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ავთანდილია ყველაზე უმცროსი, რაზეც ფრიდონისათვის მიწერილ წერილში განაცხადა: ***„უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო“.*** როგორც ჯადოსნური ზღაპრის მთავარ გმირს, უმცროს ძმას, უწევს მთავარი მისიის შესრულება, ისე „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე მოქმედი, ყველაზე მოძრავი გმირი სამ გმირთაგან უმცროსი ავთანდილია, რომელიც, მიზნის მისალწევად, მთელ სამყაროს, უზარმაზარ სივრცეს გადასერავს.

„ვეფხისტყაოსანში“ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მთავარი გმირების – ტარიელისა და ავთანდილის ურთიერთობას, რის საჩვენებლადაც უნდა გავიხსენოთ არაბეთში უცხო მოყმის გამოჩენისა და მის საძებრად თინათინის მიერ ავთანდილის გაგზავნის ეპიზოდები. პირველად ვეფხისტყაოსან მოყმეს, უცხო მოყმეს, ბედნიერებითა და კმაყოფილებით აღსავსე, ადამიანური ცხოვრების არსებობის სიხარულით გალაღებული, სამხედრო ძლიერებით გამორჩეული არაბეთის სამეფოში ვხვდებით, სადაც სამეფო ტახტზე ახალი მეფე ადის, ე. ი. თაობა იცვლება, ხოლო თაობათა ცვლა ლეგიტიმური წესების სრული დაცვით მიმდინარეობს. და აი, სწორედ ამ ჰარმონიულ სახელმწიფოში გამოჩნდა მწუხარე სახის უცხო მოყმე, მოსილი ვეფხის ტყავის სამოსლითა და ვეფხის ტყავისავე ქუდით. ამ უცხო და უჩვეულო სანახაობით ნათლად იკვეთება ვეფხისტყაოსანი მოყმის დიდებული ჩამომავლობა, რაც ცხენის მდიდრული აღკაზმულობითა და შემკულობით ვლინდება, ასევე, მისი განსაკუთრებულობა და სიდიადე, გმირობა და ვაჟკაცობა ვეფხვის, ლომის, ვარდის, მარგალიტისა და ცრემლის სიმბოლიკითა და მეტაფორებითაც გამოსჭვივის. მთავარი გმირის გარეგნობა საოცრად შთამბეჭდავია, რადგან იგი, უწინარესად, ლომის მეტაფორითაა ნარმოჩენილი და გმირადაა დასახული. ამავე სურათიდან ჩანს, რომ მას დიდი გასაჭირი დასტეხია თავს, რაც მისივე ცრემლებით, წუხილით, სადარდელით წარმოჩნდება. უცხო მოყმის ვინაობა, მისი ამბის იდუმალება და დაფარულობა უთუოდ უნდა გამჟღავნდეს, ***„რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოა, რომელი არა გამოცხადნეს“ (მ. 10,26).*** პოემის დასაწყისში ტარიელი, ვითარცა ვეფხისტყაოსანი, სტატიკური სახით ევლინება მკითხველს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნად გახდომის პროცესი მის წარსულშია საძიებელი, ხოლო ვეფხის ტყავის მხატვრული ფუნქციის ასახსნელად თვით ტარიელის განმარტებები გვჭირდება. ვეფხისტყაოსნობა თავად ვეფხისტყაოსანმა მოყმემ უნდა ახსნას. აკი ასმათმაც ავთანდილთან საუბრისას განაცხადა: ***„თვით თუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ავთანდილმა მას მეორედ ჰკიდა თვალი; ხატაელმა ძმებმა უამბეს მის შესახებ და დაანახვეს კიდეც:***

ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირგამქუშავია,

ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, – მერანი რამე შავია,

თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია,

ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია (205/204).

უთითებენ კიდეც: ***„აგერა მივა, ნახეო“*** და, მართლაც, ***„ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისად მარებლად“*** (211/210, 4). ერთმანეთს ემთხვევა უცხო მოყმის შესახებ ავტორისეული და ხატაელი ძმების მონათხრობი და დახასიათება. შოთა რუსთველი უცხო მოყმეს ესთეტურად და მშვენიერად წარმოაჩენს, მიუხედავად მისი მძიმე სულიერი მდგომარეობისა. არაბეთში ოთხი წლის წინ გამოჩენილი უცხო მოყმე არ შეცვლილა, შესაბამისად, მისი მდგომარეობაც არ შეცვლილა. ისევ ვეფხის ტყავის სამოსლითაა მოსილი, ვეფხის ტყავის ქუდი ახურავს, ისევ გაურბის ადამიანებს და სიმარტოვეს ეძებს, მასთან მისულს ისევ ეურჩება და ებრძვის, რაც იმას მოწმობს, რომ მისი ყოფა, მდგომარეობა არ შეცვლილა, ადამიანთა დანახვით გამოწვეული რეაქცია და ქცევა ისევ ისეთივეა, როგორიც მისი პირველი გამოჩენისას პოემაში. თუმცა უცხო მოყმე ინარჩუნებს ესთეტურობას, მშვენიერებას. ავთანდილის ინტერესი ვეფხისტყაოსანი უცხო მოყმის მიმართ მისი იდუმალებისა და უცნაური ქცევის გამო კიდევ უფრო მეტად ღვივდება და იზრდება. იგი ყველგან ერთნაირად ჩაცმულ-აღკაზმული ჩნდება და ყველგან ერთნაირად იქცევა – გაურბის ადამიანებს. ამიტომ ავთანდილი უცხო მოყმის, ვეფხისტყაოსანი მოყმის დანახვისას არ აჰყვა გრძნობებს და მოერიდა მასთან პირისპირ შეხვედრას. ავთანდილი ადამიანის ფსიქოლოგიას ღრმად იცნობს, იგი ფსიქოლოგის როლში მოგვევლინა, ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, უკან მიჰყოლოდა მას და სადაც მივიდოდა, იქიდან გაეგო მისი ამბავი, რადგან ეშინოდა, ***„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!“ (216/215,*** 2). იგი მიჰყვა წინასწართა სიბრძნეს, რომლის მიხედვით: ***„ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს, არ-სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს“ (216/215, 3-4).***

ავთანდილი ტარიელის გამოჩენის მეორე შემთხვევასაც ითვალისწინებს, როდესაც უცხო მოყმე გაექცა ადამიანებს, არ მოისურვა მათთან შეხვედრა, პირიქით, მასთან მიახლოებულნი ზოგი ამოხოცა, ზოგიც სასიკვდილოდ დაჭრა. იგი ღრმად ჩაუფიქრდა ვეფხისტყაოსანი მოყმის სულიერ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შეძლებისამებრ, ჩაწვდა საქმის სირთულეს და გადაწყვიტა, რომ უკან მიჰყოლოდა, რადგან მასთან პირისპირ შეხვედრას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. ავთანდილის ფიქრები ღვთაებრივი სიბრძნით აღსავსე პიროვნების, ადამიანის ფსიქოლოგიის მცოდნის, მისი მდგომარეობის, ფსიქიკური წყობის ღრმად გააზრების საუკეთესო ნიმუშია, რომლის მიზანი იყო, თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი ორთაბრძოლა, რომელსაც, ვინ იცის, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა. ორი დღეღამე ***„წინა-უკანა იარნეს“*** ისე, რომ ერთი წამითაც არსად შეუსვენიათ და არც ხემსი მიუღიათ. ყურადღებას იქცევს ტარიელისა და ავთანდილის ცხენების ფერები: ტარიელს შავი ცხენი ჰყავს, ავთანდილი კი თეთრ ცხენზეა ამხედრებული. აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ერთი საკვირველი ფაქტიც, რომ ტარიელის ცხენმა ვერ იგრძნო თავისი მოძმის – ავთანდილის ცხენის შორიახლო ყოფნა და არ გამოეხმაურა მას; ცნობილია, ცხოველები თავიანთი ჯიშისა თუ სხვა ტიპის ცხოველის ახლოს ყოფნას ყოველთვის გრძნობენ. შოთა რუსთველი ავთანდილისა და ტარიელის ამგვარ სიარულს მეტაფორულად წარმოგვიდგენს: ***„მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი“.***

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილისა და ტარიელის **სამი შეხვედრაა** ასახული. მათი **პირველი შეხვედრა** გამოქვაბულში შედგა ასმათის შუამდგომლობით, მან განსაზღვრა მათი მომავალი ურთიერთობა და, საზოგადოდ, პოემის გმირთა ცხოვრება, მომავალი სულიერი ცხოვრება. ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს დიდი ხნის მეგობრებივით შეხვდნენ. ისიც საგულისხმოა, რომ გამოქვაბულში სტუმრად მყოფი ავთანდილი, მასპინძლის მსგავსად, ვეფხის ტყავის ნატებზე ჯდება. ეს ერთდროულად პატივიცაა და მოვალეობაც, რადგან ტარიელის ვეფხისტყაოსნობიდან განთავისუფლებაში, ე. ი. ვეფხის ტყავის

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

რუსთაველის ღღეები გრძელდება

როგორც ცნობილია, გასული წელი საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული იქნა რუსთაველის წლად. გაზეთმა „ლიტერატურულმა მესხეთმა“ გენიალური პოეტის 850 წლის იუბილეს არაერთი საინტერესო მასალა მიუძღვნა, მათ შორის – გამოაცხადა ლიტერატურული კონკურსი პოეზიასა და სხვადასხვა ნომინაციებში, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაწილეობით დაწესებული იქნა სოლიდური ფულადი პრემია „რუსთველოლოგიაში“, რომელმაც საშუალება მოგვცა ამ თემატიკაზე შექმნილიყო ახალი მონოგრაფიები და სტატიები, რითაც კიდევ ერთი აგური დაიდო რუსთველოლოგიის განვითარებაში.

გასული წლის მინურულს შეჯამდა კონკურის შედეგები და კომპედენტურმა ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის, ქალბატონ **ნესტან სულავას მონოგრაფიამ: „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები“..**

ახლახან კი სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით ახალციხის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა გამარჯვებული კონკურსანტის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგეობების, გუბერნიისა და საზოგადოების სოლიდური წარმომადგენლობა დაესწრო.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და კონკურსის შედეგებზე ისაუბრა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ.** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ჟიურის წევრმა, **მერაბ ბერიძემ** საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა კონკურსში გამარჯვებული მონოგრაფიის მნიშვნელობაზე, როგორც რუსთველოლოგიის დიდ მონაპოვარზე.

ჟურნალისტმა **იზოლდა წიქარიშვილმა,** ფილოლოგმა **სოსო გიქოშვილმა,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერმა **ციური ლაფაჩმა,** ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ლევან ცაბაძემ** და სხვებმა დიდი შეფასება მისცეს კონკურსის ჩატარების მნიშვნელობას.

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა – გუბერნატორმა **აკაკი მაჭუტაძემ** საზეიმოდ გადასცა ლაურეატს შესაბამისი სერტიფიკატი, გამარჯვება მიულოცა და უსურვა მომავალი წარმატებები სამეცნიერო მოღვაწეობაში, ქალბატონმა **ნესტან სულავამ** კი მადლობა გადაიხადა დიდი ჯილდოსათვის და ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე. დასასრულს ქალაქ ახალციხის მერმა **ვლადიმერ ზედგინიძემ** გამარჯვება მიულოცა ქალბატონ ნესტანს და გადასცა სამახსოვრო საჩუქარი.

ღონისძიებას დიდი ხიბლი მისცა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მესხეთმა“ ***(ხელმძღვანელი ზაზა თამარაშვილი).***

საზეიმო ცერემონიალს უძღვებოდა მერიის კულტურის სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკი **მარინე გოგოლაძე.**

აქვე გთავაზობთ ნაწყვეტს ნესტან სულავას მონოგრაფიიდან.

ავთანდილ მესხი

ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრების მხატვრული ფუნქცია

◀ დასაწყისი გვ. 1



სამოსლისაგან განძარცვაში ავთანდილი უნდა დაეხმაროს ისევე, როგორც ტარიელი უნდა

დაეხმაროს ავთანდილს თავისი თავგადასავლის თხრობით, რათა მიჯნურის წინაშე ვალმოხდილი წარდგეს, და ნაწარმოების დასასრულს – როსტევანთან შუამდგომლობით. თავად გასაჭირში მყოფი ტარიელი ავთანდილის ძალისხმევასა და გარჯას ღირსეულად აფასებს, რადგან „ღმრთივ ზეცით“ გაწირული კაცის პოვნა ძნელია: *„მაგრა გარჯილ ხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა: ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა!“ (298/296, 3-4)*. ვეფხისტყაოსანში ადამიანის, ვითარცა სუბიექტის, ვითარცა პიროვნების ქმედება პირდაპირ კავშირშია ღვთის განგებასთან, ღვთის ნება და ადამიანის ქმედება ერთიანია, რაც ამკვიდრებს ჰარმონიას. ტარიელი გამოქვაბულში ავთანდილთან შეხვედრისას ამბობს კიდეც: *„ღმერთმან ქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად“ (302/300, 2)*. მიზნის აღსრულებას ორი ფაქტორი განაპირობებს: 1. ღმერთის ნება-სურვილი და განგება; თუ ღმერთს არა აქვს განგებული, თუ მას არა აქვს წინასწარგანზრახული, ადამიანი როგორც არ უნდა შეეცადოს, არ ასრულდება; 2. ადამიანის მცდელობა, მისი გარჯა, მისი ქმედება; თუ ადამიანი არ შეეცდება, ღმერთმა როგორი განგებაც არ უნდა გადაუწყვიტოს, ვერ გაიმარჯვებს. გავიხსენოთ ავთანდილის ნათქვამი ტარიელისათვის: *„არ თურ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების... ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გვხვდების“ (904/903, 2, 4)*. ე. ი. ადამიანი მიზანს აღწევს ღმერთის წინასწარგანზრახულებით, ბედის ცდით, ადამიანის ქმედებით. ავთანდილისა და ტარიელის ურთიერთობა გაცნობისთანავე, – ჯერ ერთმანეთის ამბავი არ იციან, – ემყარება, როგორც ე. ხინთიბიძემ შენიშნა, – ურთიერთმოწონებას, ამავე დროს, მოყვასურ სიყვარულს, ამიტომაც ენიჭება ტარიელის სიტყვებს მნიშვნელობა მკითხველის წინაშე ავთანდილის მისეულ შეფასება-წარდგენაში: *„ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა“ (298/296, 2)*. ამ მხრივ უაღრესად დატვირთულია ავთანდილისა და ასმათის შეხვედრაც, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტის ელემენტებსაც ასახავს და ფსიქოლოგიურ სახეებსაც ხატავს.

ტარიელთან პირველმა შეხვედრამ ავთანდილს მის მიმართ წმინდა ადამიანური მოვალეობა შეაგრძნობინა და დაანახა, რომ გამოქვაბულის ბინადარი ტარიელი ასმათისათვის სულ სხვა დანიშნულებით მოთხრობილი იგავის ჭაში ჩავარდნილ კაცს ჰგავს და დახმარება ესაჭიროება, რის გამოხატულებაცაა მოყვასის წინაშე წარმოთქმული ერთგულებისა და ძმობის ფიცი:

ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ
დაბინდა;
დამიგდია სამსახური მისი, იქმნას,
რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს,
ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის,
ამის მეტი არა მინდა! (300/298).

როდესაც შოთა რუსთველმა ავთანდილს ეს სიტყვები ათქმევინა, ტარიელის მიმართ მეგობრობის უპირატესობა იაგუნდის სიმბოლიკით გამოხატა, ხოლო საღვთისმეტყველო ლიტერატურის მიხედვით, კერძოდ, წმ. ეპიფანე კვიპრელის „თუალთაას“ მიხედვით, იაგუნდი, იგივე იაკინთი, საღვთო სიყვარულის სიმბოლოდაა გააზრებული *(წმ. ეპიფანე კვიპრელი, 1979: 131-132; 141-144)*. ავთანდილის სიტყვებში თინათინთან შედარებით ტარიელისადმი დახმარებისა და თავგამოდების, მისადმი ერთგულებისა და მსახურების შეგნება იჭერს უპირველეს ადგილს. თავის მოყვასთან, ტარიელთან საუბრისას პირადულზე მაღლა მოყვასის სიყვარული დააყენა და ტარიელს უჩვენა, რა უნდა აკეთოს ადამიანმა, როგორ უნდა შეძლოს პირადული გრძნობისა და მოყვასური მოვალეობის ურთიერთობის რეგულირება, მოწესრიგება და, თუ ეს შესაძლებელია, შერწყმაც. *„იაგუნდი ეგრეცა სჯობს...“* და *„შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“* მოულოდნელიც კი არის იმგვარი მიჯნურისა და ქვეშევრდომისაგან, როგორიც ავთანდილია, რადგან მას სხვა მოვალეობები აკისრია. ავთანდილის მიერ ამ ფიცისა და მოყვასური სიყვარულის გამოხატვის ერთ-ერთი საფუძველი ისიცაა, რომ ტარიელი ავთანდილის თვალთახედვით ბრძენთა ენით საქებია, რადგან იგი ღვთის მსგავსია: *„სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა“ (299/297, 3)* და იგი მოყვასურ თავდადებას იმსახურებს. ზემოთაც აღინიშნა, რომ ტარიელი საღვთო სახელთა სიმბოლიკითაა წარმოდგენილი, რაც „ვეფხისტყაოსანში“ არაერთგზისაა დამოწმებული.

რამ შეაძლებინა ტარიელს ავთანდილისათვის თავისი თავგადასავლის თხრობა? ესაა ვეფხისტყაოსანი მოყმის მიერ ავთანდილის ღირსების შეგრძნება და შეცნობა, ტარიელის აზრით, ავთანდილი თავისი მიჯნურის წინაშე პირნათლად უნდა წარდგეს, რაც მოყვასისაგან თავდადებასა და გმირობას მოითხოვს: *„ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს“ (308/306, 1-2)*, რაც ბიბლიურ-ევანგელური სწავლებითაა განმტკიცებული: *„ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!“ (308/306, 3)*. ამავე დროს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფაქტობრივად, ეს ტარიელის აღსარებაა, წარმოთქმული უმცროსი გმირის წინაშე, რადგან ტარიელის ამბავი არ უნდა დაიკარგოს, ის ახალ თაობას უნდა გადაეცეს, რათა ამგვარი რამ შემდგომში აღარ გამეორდეს, ადამიანები ერთმანეთს არ მოწყდნენ და სახელმწიფოს ინტერესები არ დაზიანდეს. აღსარებას კი უთუოდ მოსდევს სულიერი განწმენდა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სულიერი განვითარების გზის გავლის აუცილებლობის თანამდევი პროცესია. ტარიელისათვის ავთანდილი სწორედ ის მოყვასი და ის პიროვნებაა, რომელთანაც მან შეძლო თავისი თავგადასავლის, როგორც აღსარების, თხრობა.

ტარიელის მონათხრობის მოსმენამ ავთანდილი მიახვედრა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ცხოვრების სირთულეს, იმასაც ჩაწვდა, რომ მათი შეხვედრა სხვისი, კერძოდ მოყვასური გრძნობით აღსავსე ადამიანის, ჩარევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა და ისევ წინაპართაგან მომდინარე სიბრძნის კვალობაზე გადაწყვიტა ტარიელისათვის დახმარების გაწევა, რაც მკურნალის მიერ ავადმყოფისათვის გაწეულ სამსახურს შეადარა და გაუტოლა:

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა
საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა
შემტყვებარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა
მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო
საუბარი (664/662).

ცხადია, ესეც ევანგელურ-აპოსტოლური სწავლებებითაა გაჯერებული, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა იციან, თუ რა დიდია გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისათვის ღვთის შეწევნისა და მოყვასის გარჯის ფასი. ავთანდილი დაჰპირდა, რომ უთუოდ მობრუნდებოდა და დაეხმარებოდა ტარიელს მიჯნურის მოძებნაში, თუ, რასაკვირველია, ღვთის ნება იქნებოდა და ყველაფერი განგებით წარიმართებოდა: *„ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ გატირო“*. ტარიელსაც იმედიანი ოცნების საფუძველი მიეცა: *„ღმერთმან ქმნას და კვლაცა გნახო ალვა მორჩი, განაზარდი“ (668/666, 4)*. გმირ პერსონაჟთა ამგვარი ურთიერთობა დაემყარა უწინარესად პერსონაჟთა მიჯნურობას მთელი თავისი არსით, კერძოდ, ქალისადმი სიყვარულსა და მოყვასისადმი სიყვარულს, რაც, აგრეთვე, მიჯნურობად იწოდება „ვეფხისტყაოსანში“, ურთიერთმოწონებას, თანაგრძნობას, თანალმობას. ყოველივე ეს ძველი და ახალი აღთქმის სწავლებებს ეფუძნება, ესაა ღვთაებრივი სიბრძნე, რაც, როგორც ჩანს, ტარიელს ინდოეთში ყოფნისას აკლდა და მხოლოდ მას შემდეგ ჩასწვდა, რაც გარესამყაროში გავიდა დაკარგული მიჯნურის, ნესტან-დარეჯანის საძებრად, ღვთაებრივი სიბრძნის საწვდომად და, რაც მთავარია, საკუთარ თავში ღვთაებრივი საწყისის მოსაძიებლად.

მეორე შეხვედრა. არაბეთიდან გაპარული ავთანდილი გამოქვაბულისაკენ გაეშურა და გზაზე იგი ისევ ღმერთისადმი ლოცვებს აღავლენდა, ღმერთს მიმართავდა. თავის მხრივ, ამ მიმართვებში ისეთი საღვთო სახელები მოიხმო, როგორიცაა „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“, „მზიანი ღამე“, მოგვიანებით ღმერთი მოიხსენია, როგორც „ყურთაგან მოუსმენელი“. ყოველივე ეს ავთანდილის მრწამსს, მის თვალთახედვას მოწმობს, რომელშიც თვით ავტორის, შოთა რუსთველის ქრისტიანული მსოფლმხედველობაა ჩამოყალიბებული. მსოფლმხედველობრივად დატვირთულია ავთანდილის საუბარი ტარიელთან მეორე შეხვედრისას და შეგონება, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ავთანდილის მდიდარ შინაგან სამყაროს, სულიერობას, სიბრძნეს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ლომ-ვეფხის დახოცვის შედეგად გულწასული ტარიელის მოსულიერებისა და გონს მოსვლის შემდეგ მათ შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც ტარიელის მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა და ავთანდილის ფსიქოლოგიური პორტრეტი გაგვაცნო. ავთანდილმა მეგობარს უთხრა, რომ, ფიცის თანახმად, იგი დაბრუნდა ტარიელის დასახმარებლად და უსაყვედურა, დაპირებისამებრ რატომ არ დახვდა გამოქვაბულში, თუმცა, ღმერთს მაინც მადლობა შესწირა მოყვასის პოვნისათვის. შეახსენა, რომ მიჯნურმა *ბევრი რამ უნდა დაითმინოს, ბრძენი გასაჭირს უნდა გაუმკლავდეს:*

ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი
არა სწვავსა?
ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა
ნათესავსა?
რად სატანას წაულიხარ, რად მოიკლავ
ნებით თავსა?
თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ
ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა
ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა,
ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი
ჭირსა (875/874, 2-4; 876/875).

ავთანდილის ბრძნული საუბარი მხეცქმნილი და ბნელქმნილი ტარიელისათვის სრულიად უსარგებლო და მიუღებელია, მისთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა, რის გამოც გაკვირვებული ეკითხება მისთვის თავდადებულ მოყვასს: *„ბრძენი? ვინ ბრძენი, რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს ბრძნობასა? ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყავ ცნობასა; ვარდი ვერ არის უმზეოდ; იყოს, დაიწყებს ჭნობასა; მაწყენ, დამეხსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა“ (887/886)*. ამ სიტყვებიდან ჩანს, თუ როგორაა შერყეული მისი ფსიქიკური წყობა, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და სრულიად სასოწარკვეთილს, ცნობამიხდილს საღად აზროვნების უნარი დაუკარგავს. ამ მიმართვაში ნათლად იგრძნობა ავთანდილის ღმრთივგანბრძნობილობა, რაც არაბეთის მკვიდრი რჩეული პერსონაჟი გმირისათვის ჩვეულებრივია, თინათინის გამეფებით არაბეთში ახალმა სიბრძნემ დაივანა, ეს სიბრძნე მოყვასისადმი სიყვარულსა და თავდადებაზე გადის, რომლის გამოხატვა ყველაზე მეტად ავთანდილს უწევს. თვით ავთანდილს ეს შეგრძნობული აქვს და ამიტომაც მიაჩნია ჭირში მყოფი ტარიელის უმოქმედობა მიუღებლად. მისი აზრით, ტარიელი თუ ბრძენია, ბრძენთა ნააზრევი უნდა ახსოვდეს, რომ ბრძნულად განსაჯოს ყოველი მდგომარეობა ადამიანისა და „ბრძენთა თქმულებრ“ მოიქცეს, მინდორში ტირილი, მხეცთა შორის ხეტიალი სიკეთეს ვერ მოიტანს, რადგან ვისთვისაც ირჯება და სიკვდილს ნატრობს, მას ამგვარი გზით ვერ მოიპოვებს. მიჯნურს ბრძნული განსჯა და საქმის მოგვარება უნდა შეეძლოს, მით უფრო, რომ წუთისოფლის მიერ გაწირული ადამიანი ცდასა და ბრძოლას არ უნდა აკლებდეს რთული, ძნელად აღსასრულებელი საქმის მოგვარებას. თავისი მოსაზრება ავთანდილმა ვარდისა და ეკლის სიმბოლიკით გაამყარა:

არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის
მოუკრებიან! (878/877, 4).
ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა
რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი
რად არს ჭირად?“
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს,
იქმნების რაცა ძვირად:
ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს
არცა ჩირად“ (879/878).
რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და
უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ
ჭირთა უმუშაკო? (880/879, 1-2).

ცხადია, მთელი ეს ეპიზოდი საღვთისმეტყველო სიბრძნითაა გაჯერებული და მასში ქრისტიან წმინდა მამათა ნააზრევს შევიცნობთ. მასში წინარელიტერატურული ტრდიციების კვალიც ირეკლება. ავთანდილი შეეცადა ტარიელის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას, მასში სიკეთის ქმნისა და მიჯნურისათვის გარჯის აუცილებლობისა და საჭიროების შთაგონებას, რათა მისი ქმედება ნესტან-დარეჯანის საძებრად და დასახსნელად წარემართა. ტარიელს ისეთი არაფერი დამართნია, რაც სხვას არ გადახდენია თავს, ბოროტება სხვასაც შეხვედრია, სხვაც ყოფილა მიჯნური და სხვასაც ბევრი ტანჯვა შეხვედრია მიჯნურის გულისა და ხელის მოპოვების გზაზე, მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავს, საკუთარ გრძნობებს არ მიჰყოლია, წუთისოფლისაგან არ გამდგარა, მით უმეტეს, რომ ტარიელსაც წუთისოფელში გაუგონარი ამბავი არ შემთხვევია. იგი ურჩევს ცხენზე შეჯდომას და გამოქვაბულში დაბრუნებას. ავთანდილი თავად მოქმედებს პრინციპით: *„რაცა არ ვწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ (881/880, 3)*, რაც, ერთი მხრივ, არაბეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასა და მსოფლმხედველობას ემთხვევა, მისი რჩევით, ყველას არ ძალუძს, ხოლო ტარიელში მან დაინახა ის საფუძველი, რომ ამ ბიბლიურ-ევანგელურ დებულებას მიჰყვეს. ეს მისი მომავლისათვის უმჯობესია. მაგრამ ტარიელს ეს არ ესმის, არც უნდა გაიგოს, რადგან „ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა; რად ადვილად გიჩს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა? აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“ (882/881, 2-4); ცოტა ქვემოთაც აგრძელებს: *„გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“* (905/904, 2). ერთადერთი, რასაც ტარიელი ღმერთს შესთხოვს, მიჯნურთან იმქვეყნად შეხვედრაა:

აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა
შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახეთ, კვლა
რამე გავიხარენით“!
„მისკენ მიგალ მხიარული, მერმე იგი
ჩემკერძ იროს,
მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს,
ამატიროს“ (883/882).

ტარიელს მხოლოდ სიკვდილი უნდა და ენატრება, სიცოცხლემ მისთვის აზრი დაკარგა, ავთანდილის ცხოვრებისეული გამოცდილება, წადილს რომ არ უნდა მისდიოს, მისთვის მიუღებელია და ავთანდილს პასუხად ისევ ბიბლიურ-ევანგელური სწავლებითვე ეუბნება: *„ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“ (884/883, 4)*. რაც შეიძლება ითქვას, ინდოეთში დამკვიდრებული ცხოვრებისა და იდეოლოგიის გამოხატულებაა. ამიტომ იგი მზადაა მისი სული სულთა სირას შეუერთდეს: *„დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა“ (885/884, 4)*. მართალია, მისი მრწამსი რელიგიურ თვალთახედვასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ემყარება, *„სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად“* (886/885, 2), მაგრამ ავთანდილი ფარ-ხმალს არ ყრის და ტარიელს მხოლოდ ერთს ევედრება, რომ გულმოკლული არ გაუშვას და ერთი სურვილი აუსრულოს, ცხენზე შემჯდარი დაენახვოს, მხოლოდ ამის შემდეგ დაანებებს თავს და ორივენი თავ-თავიანთ გზაზე წავლენ. ეს თხოვნა-ვედრება იმით იყო განპირობებული, რომ იცოდა, ცხენზე შეჯდომა „კაეშანს მოაქარვებდა“, რაზეც ტარიელი დაითანხმა. მართლა ცხენოსანი ტარიელის ხილვა სწყუროდა ავთანდილს? რა თქმა უნდა, ავთანდილმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მოძრაობა ტარიელს სიცოცხლის ხალისს და სურვილს დაუბრუნებდა; ავთანდილს გუმანმა არ უმტყუნა და შეატყო ტარიელს ნელნელა მომჯობინება, საუბარმაც გამოიყვანა იგი მძიმე მდგომარეობიდან. ავთანდილს შოთა რუსთველმა *„ცნობიერთა დასტაქარი, უცნობოთა ოხრვა-ახი“* და *„სევდისა მუფარახი“* უწოდა, რადგან ადამიანთმცოდნე ავთანდილმა, ფაქტობრივად, „ცნობიერი სიტყვით“ სიცოცხლე დაუბრუნა „სოფლით გაღმა“ გაბიჯებულ

➔

„ სსნწუხ ვრსს ესე“ 29 წლის შემდეგ: ეტყობა, მართლაც 40 წელია სსჭირო, რომ დეზორიენტირებულმა თაობამ სამი თვის სვავლი „უდაბნო“ გაიაროს

ტარიელ ფუტკარაძე

საქართველოს მტრები წერენ, რომ საქართველო პატარა იმპერიაა, ქართველი ერი კი არ არსებობს; მათივე თქმით, არსებობს მხოლოდ ცალკეული ქართველური ტომები, რომელთა ნაწილს სამწიგნობრო ტრადიციაც აქვს, ნაწილს კი უწიგნობრო დედაენები...

ამას მტრები ამბობენ; ისინი ჩქმალავენ რამდენიმე არსებით ფაქტს:

დაახლოებით 35 საუკუნის წინ არსებებობდა საერთოქართველური კულტურა, რომელიც დღემდე მოღწეულია **კოლხური არქეოლოგიური კულტურის სახით;** ეს კულტურა თითქმის მთლიანად ფარავს ქუჯსა და ფარნავაზის მიერ 24 საუკუნის წინ აღორძინებული საქართველოს (ქართლის) საზღვრებს.

ძველი ქართველი მემატიანეებისა და მოღვაწეების (ლეონტი მროველი, გიორგი მერჩულე...) მიერ საუკუნეების წინ ითქვა, რომ **ქართველთა ეროვნული კონსოლიდაცია და სახელმწიფოებრივი კულტურის ჩამოყალიბება მოხდა ქართველთა სამწიგნობრო (საეკლესიო, სახელმწიფო) ენის აქტიური მონაწილეობით;** იმ კულტურული ენით, რომელიც დაეფუძნა საერთოქართველურ ენას და რომელიც თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა ტაო-კლარჯეთშიც, ეგრის-ლაზეთშიც (რომლის ცენტრი იყო ქუთაისი!), საქართველოს მთიანეთშიც და არა მხოლოდ მცხეთასა თუ და ქართლ-კახეთშიც.

– ქართველთა მიერ დაარსებული სახელმწიფო დრო და დრო ნაწევრდებოდა **მომხვდურთა აგრესიით დროს და შემდეგ,** მაგრამ თითქმის ყველა დანაწევრებულ ერთეულს ისევ ბაგრატიონები მართავდნენ და მათთან ერთად ყველა მხარის მოსახლეობას პრეტენზია ჰქონდა, რომ იყო დიდი ტრადიციის მქონე ქართული ენისა და ერთიანი საქართველოს იდეის პატრონი.

ამ და სხვა გარემოებებმა განაპირობა ქართველთა მიერ ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და ერთიანი საქართველოს პერსპექტივის შენარჩუნება.

ბუნებრივია, საქართველოს დანაწევრების პერიოდებში იღვრებოდა ქართველთა ბევრი სისხლი და რღვევას იწყებდა ერთიანი ეროვნული ცნობიერებაც; ეს რყევები კარგად აისახა დემოგრაფიაშიც, ტერმინოლოგიაშიც, ონომასტიკაშიც... **მაგ., 10 საუკუნის წინ ქორონიმ „ქართლის“ მნიშვნელობა დავიწროვდა აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთი პროვინციის სახელად, შესაბამისად, ეთნონიმ „ქართველის“ საფუძველზე აუცილებელი გახდა ახალი ტერმინის – „საქართველოს“ დამკვიდრება;** მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, ქორონიმმა „საქართველომაც“ და ეთნონიმმა „ქართველმაც“ ლამის დაკარგეს თავიანთი მომცველობითი სემანტიკა და ქართველი საზოგადო მოღვაწენი ფიქრობდნენ, დაემკვიდრებინათ ახალი გამაერთიანებელი ტერმინები: **„ივერია“ და „ივერიელი“;** შეიქმნა კიდევ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ (1790).

ბოლო ორ-სამ საუკუნეში დრო და დრო „ქართველი“ თავის სემანტიკას „ქართლელად“ ივიწროვებს და მის პარალელურად ჩნდება „იმერელი“ (ზოგჯერ დასავლეთ საქართველოს მკვიდრის, მოგვიანებით კი დღევანდელი გაგებითაც), მეგრელი, აჭარელი და სხვ.. თუმცა, **ქართული ენა ამ პერიოდშიც ინარჩუნებდა ქართველთა მაკონსოლიდირებელ ფუნქციას;** სწორედ ქართული ენის საფუძველზე, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით, ძველმა ქართულმა ტერმინებმა: „ქართველი“, „საქართველო“ დაიბრუნეს თავიანთი ისტორიული (მაკონსოლიდირებელი) მნიშვნელობები.

რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში, განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდში, ისევ დაიწყო ქართველთა დანაწევრების პოლიტიკის („გათიშე და იბატონე„) გააქტიურება; საბჭოური პოლიტიკა უფრო მზაკვრული იყო: **კრემლის იდეოლოგებმა მიზნად დაისახეს ქართველთა ენობრივი დანაწევრებით ეთნიკური დანაწევრების გაფორმება** და ამ გზით ერთიანი ქართული ეროვნული თვითაღქმის სრული განადგურება. საბჭოთა პოლიტიკის ინერცია დღესაც აქტუალურია; დღეს ერთმანეთს მძაფრად უპირისპირდება ორი კონცეფცია:

– ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში არსებობდა ქართველი ერი, რომლის ერთიანობის საფუძველია არა მხოლოდ გენეტიკური ერთობა, არამედ მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა და სახელმწიფოებრივი მეხსიერება;

– ქართველი ერი დღესაც კი არშემდგარი ერია; სხვადასხვა ქართველური ეთნოსები (ტომები): ქართლელი, იმერელი, მეგრელი, სვანი, აჭარელი, მესხი... ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან ერად (იხ., მაგ., ტალიავინის დასკვნა).

მეორე „კონცეფცია“ რუსეთშია შექმნილი და ისტორიულ რეალობის დამახინჯებას წარმოადგენს; მაგრამ, რუსეთის აქტიურობით (საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომი!) მთელ მსოფლიოში დღესაც ვრცელდება. **ამ ანტიქართულ მიმართულებას უნებლიედ აძლიერებს ზოგი ამჟამინდელი ქართველიც, რომელმაც არ იცის, კიდევ ვინ არის ქართველი!** კერძოდ, ზოგი დეზორიენტირებული ქართველი დღესაც კი ქართველთა ცალკეულ კუთხურ მეტყველებებს ე.წ. „უმნიგნობრო ენებად“ (ველურთა ენებად!) მოიხსენიებს, ანდა, რაიმე საბაბით (აღმსარებლობა, მინის მუშაკობა, მთაში ცხოვრება...) ლანძღავს საქართველოს რომელიმე კუთხის მოსახლეობას; მაგ.:

– ვიღაც უფუნქციო პრიმიტივი ლანძღავს სამხრეთ საქართველოს მკვიდრ ქართველს (აჭარელს, მესხს, შავშელს, ტაოელს...), ქართველს, რომელმაც ოსმალური ოკუპაციის პირობებში გადაარჩინა ქართული მეობა, მაგრამ მძიმე ეკონომიკური თუ პოლიტიკური პირობების გამო ზოგმა შეიცვალა რელიგია, რომ ფიზიკურად გადარჩენილიყო; ბევრი აქაური მთასა თუ ტყეში გაიხიზნა და ქრისტიანობაც შეინარჩუნა (ზოგი კათოლიკე გახდა).

– ვიღაც უფუნქციო ბრიყვი ვაიქართველი ლანძღავს სამეგრელოსა თუ სვანეთის მკვიდრთ (მეგრელს, სვანს...), რომელთაც ამ ბრიყვის წინაპარზე მეტად უერთგულეს, შეინახეს ქართული წერილობითი კულტურა, მაგრამ დაქუცმაცებულობის პერიოდში ამ კუთხეების მცხოვრებთა კუთხური მეტყველება ბუნებრივად შეიცვალა და დაშორდა წერილობით ენას;

– რომელიღაც უფუნქციო ჩლუნგი ქართველი კი ლანძღავს მთის ქართველობას, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრების გამო შეიძლება იმდენი განათლება არ ჰქონდეთ, რამდენიც ბარის მცხოვრებთ, სამაგიეროდ, მთის ქართველები საქართველოს მეციხოვნენი იყვნენ და არიან...

მოკლედ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსება უნდა წამოვნიოთ წინ და ისტორიული ნაიარევი არ უნდა გავაღიზიანოთ; მით უმეტეს, არ უნდა განვაზოგადოთ; პირველ რიგში, ეს მოეთხოვება მწერალს, პოეტს, მეცნიერს, პოლიტიკოსს, ჟურნალისტს...

ამ თემაზე 1988 წელს გამოვაქვეყნე წერილი „სასწუხ არს ესე“; ამჟამინდელი სოციალური ქსელის დიალოგები თუ მწერალთა, ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა... ცალკეული გამონათქვამები ცხადყოფენ, რომ ქართველი ერის მოცემულ თაობაში – დღეს ცოცხალ თაობაში – 29 წლის მანძილზე თვისობივი ცვლილება არ მომხდარა; **ეტყობა, მართლაც 40 წელია საჭირო, რომ დეზორიენტირებულმა თაობამ სამი თვის სავალი „უდაბნო“ გაიაროს.**

ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრების მხატვრული ფუნქცია

←

ტარიელს. საუბარში ავთანდილმა ნელნელა შეახსენა ნესტან-დარეჯანი, ტარიელისავე სიტყვით, *„ჵჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მინისა და ხისა“ (897/896, 3), „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა“ (897/896,* 1), რომლის ნაჩუქარ სამხრეს ატარებდა და რომელიც ტარიელისაგან მოელოდა ხსნას, შეახსენა მათი „შემყრელი მსახური“ ასმათი, *„მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიხდილი ცნობისა“ (900/899, 3*), რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირა ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს, რომელიც მაგალითია, ნიმუშია ერთგული მსახურებისა, მსგავსი რამ არავის ჩაუდენია, ხოლო ტარიელმა იგი განირა და მიატოვა, უფრო სწორად, აპირებს მის მიტოვებას, თუ გამოქვაბულში არ დაბრუნდებოდა. გზად მიმავალმა ბრძნული შეგონებებთ კიდევ ერთხელ მიმართა ტარიელს, რათა ცნობამიხდილისათვის სიცოცხლის ხალისი და ინტერესი გაეღვიძებინა, გაახსენა, რომ უგანგებოდ არაფერი ხდება, მაგრამ ადამიანმა თავისი ცდა არ უნდა დაიკლოს, რათა აღსრულდეს ღვთის ნება, წინასწარგანზრახულება, რაც მხოლოდ სიკეთითაა მოტივირებული და ღმერთმა მხოლოდ სიკეთე შექმნა:

არას გარგებს სწავლებული, თუ არა
იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა
დაფარულსა? (903/902, 3-4);
არას გარგებს შეჭირვება: რომ სჭმუნვიდე,
რა გერგების
არ თურ იცი, უგანგებოდ არათ კაცი
არ მოკვდების?
მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ
დღე არ დაჭნების.
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს,
მო-ცა-გხვდების (904/903).

ავთანდილის სიბრძნე და გონიერება ამ საუბარში საქმესთან შეზავებულად არის ნაჩვენები, რადგან მისმა ჭკუადამჯდარმა საუბარმა დადებითი შედეგი გამოიღო, ტარიელი გონსა და ცნობას დაუბრუნა: *„ჳველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (902/901, 4).* „ბედი ცდაა“ პერსონაჟის ქმედების აუცილებლობას მოწმობს და სიბრძნის საფუძვლად გვევლინება. თვით ტარიელიც კი ავთანდილის ქმედებასა და სიბრძნე-გონიერებას შემდეგი სიტყვებით აფასებს: *„ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს“ (905/904, 1),* რომელშიც ავთანდილის პრაქტიკულ განსჯაზე დამყარებული, მეტიც, მასზე ამაღლებული, მაღლამდგომი, მისი სულიერობიდან გამომდინარე ბუნებაა დანახული. ავთანდილისა და ტარიელის გამოქვაბულში დაბრუნება, ასმათთან შეხვედრა, შემდეგ ავთანდილის გამოთხოვება მათთან და ნესტან-დარეჯანის საძებრად წასვლა ავთანდილის, როგორც პერსონაჟის, მაძიებელი ბუნების გამოხატულებაა, რაც ერთგვარად ტროას აღების შემდეგ ოდისევსის ითაკისაკენ, შინისაკენ, გამგზავრებას ემსგავსება, მაგრამ მისგან ძლიერ განსხვავდება კიდეც თუნდაც იმით, რომ ავთანდილის წასვლა მოტივირებულია მოყვასის და სიკეთის გამარჯვებისათვის, იგი არაბეთიდან მიჯნურის დავალებით გასაჭირში ჩავარდნილი უცხო ადამიანის, უცხო მოყმის საძებრად და შემდეგ კი მის დასახმარებლად გადის. ტარიელისა და ავთანდილის ერთად შეყრისა და ერთად ყოფნის ეპიზოდის შესახებ ავტორისეული რემარკა სიმბოლური და მეტაფორული მეტყველების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: *„ჳიმონმეტ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა!“ (873/872, 4).*

მესამე შეხვედრა. პოემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავთანდილისა და ტარიელის მესამე შეხვედრა, როდესაც უკვე, ფაქტობრივად, ყველაფერი ცნობილი და გადაწყვეტილია. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ქსოვილში უმთავრესია ქმედება, შინაგანი მოქმედება, ე. ი. ის, რასაც გმირთა სრულიად ახლებური ცნობიერება წარმართავს. სწორედ აქ შეიგრძნობა ის დიდი სიახლე, რაც პოემაში საოცარი, მრავლისმმცველი მეტაფორული აზროვნებით წარმოისახა:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით
ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო
მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა
სარატანისა.
სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან,
უნახავმან ხანისა (1328).

„ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“ ეპოქის ცვლას მოასწავებს, ძველი იცვლება ახლით, ტრადიციულზე დამყარებული ახალი ჰარმონია მყარდება. მხატვრული სურათის, აზრის ზოდიაქოს ნიშნებზე აქცენტირებით გამოხატვა რენესანსულია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ავთანდილის მიმართვაც ვვიდი მნათობისადმი, რასაც ზოდიაქალურთან ერთად საღვთისმეტყველო საზრისი და საერო მწერლობისათვის დამახასიათებელი მეტაფორული სახეებით აზროვნება წარმართავს.

მომდევნო სტროფიც მეტაფორულად ასახავს ავთანდილის სულიერ მდგომარეობას, როდესაც საწადელს მიაღწია და ყოველგვარი გასაჭირი უკან მოიტოვა, სტროფში ასახული ავთანდილის ადამიანური ბუნების სინატიფე და სიფაქიზე კვლავ მიუთითებს მისი ხასიათის მრავალფეროვნებაზე, სიმდიდრეზე, რომლითაც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთაგან განსაკუთრებით გამორჩეული სწორედ ავთანდილია:

აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა;
უბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა“ (1329).

გამოქვაბულს მიახლობულმა ავთანდილმა ტარიელის ფსიქოლოგიური მდგომარეობა სწორად განჭვრიტა და მიხვდა, რომ იგი გამოქვაბულში არ დახვდებოდა, რადგან მას ერთ ადგილას გული არ უჩერდებოდა; მეორე შეხვედრის წინ ხომ ავთანდილმა გამოქვაბულში ვერ იპოვა ტარიელი, ასმათისაგან შეიტყო, რომ სადმე შამბნარში დაეძებნა. ახლაც, მესამე შეხვედრის წინ, ავთანდილმა შამბნარს მიმართა და თავის მოყვასს ძებნა დაუწყო, რომლის კვალს მაღლევე მიაგნო, ტარიელი ლომის მოკვლის შემდეგ სისხლიან ხმალს წმენდდა. ეს ფაქტიც უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ტარიელის მიერ ლომის მოკვლა მის ძველებურ ვაჟკაცურ იერსახეს წარმოაჩენს და მის ძალგულოვნებაზე მეტყველებს. ამიტომ ორი მოყვასის შეხვედრის წინ ტარიელის ამგვარ მდგომარეობაში ყოფნას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. იშვიათია მეგობართა იმგვარი შეხვედრა, როგორიც აღწერილია პოემაში ტარიელისა და ავთანდილის ამ შეხვედრისას. სცენა, როდესაც ისინი ერთმანეთს ყივილითა და მხიარული ყიჟინით შეხვდნენ, იშვიათი მრავალმნიშვნელობიანი მხატვრული ფერადოვნებითაა აღწერილი. მოყვასის ხილვით გახარებული და გაბალისებული ტარიელი მიეჭრა დიდი ხნის უნახავ, მონატრებულ და იმედიანად დაბრუნებულ ავთანდილს, რომელიც ცხენიდან გადმოხტა და ეტლზე უსწრაფესად გაიქცა ძმობილისაკენ; ავტორი მეტაფორული სახეებით გადმოგვცემს ამ შეხვედრას, რასაც იშვიათი სილამაზითა და მშვენიერებით თვით პერსონაჟთა საოცრად ამაღლებული ხატ-სახეები ამშვენებენ:

ხრმალი გასტყორცა ტარიელ, მიმართა
მისსა ძმობილსა.
ყმა ცხენისაგან გარდიჭრა, ჰგვანდა
ეტლისა სწრობილსა.
მათ ერთმანერთსა აკოცეს, ჰგვანან
ყელ-გარდაჭდობილსა,
ხმა შაქრის-ფერად გაუხდა ვარდსა,
ხშირ-ხშირად პობილსა (1335).

მსგავსი შემთხვევა, როდესაც ვარდის ფერი და ვარდის მეტაფორით შემკული ტარიელის ხმა საგანთანაა შედარებული, მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია, ხმის შაქრისფერობა მისივე სიტკბოს, სილამაზის, სითბოს გამოხატულებაა. ეს მეტაფორა ახლოს დგას ავთანდილის შესახებ თქმულთან: *„ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“,* რომლითაც პერსონაჟის ქართული ხასიათი, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებებია აქცენტირებული. ტარიელს აღარ ახსოვს არანაირი გასაჭირი, რაკი თავის მოყვასს კვლავ შეხვდა და მასთან ყოფნით დატკბობის საშუალება კვლავ მიეცა, რასაც სიტყვიერადაც გამოთქვამს. იგი სჯერდება იმას, რომ ავთანდილი იხილა და გაიხარა, რაც გამოხატავს ტარიელის დამოკიდებულებას დიდი ხნის მონატრებული მეგობრისადმი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად დატვირთულ ამ ეპიზოდში ავთანდილს თავისი ბუნებისაგან განსხვავებულად ვხედავთ, რადგან მოუთმენლობამ შეიპყრო, სასწრაფოდ უნდოდა მეგოარი გაეხარებინა და უთხრა, რომ ნესტან-დარეჯანის შესახებ ყველაფერი გაიგო, უჩვენა მიჯნურის წერილი და რიდის გადანაკვეთი, რომლის დანახვამაც ისედაც ფსიქიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ტარიელზე ძლიერი ზემოქმედება იქონია და გული წაუვიდა. ავთანდილმა, რომელმაც ამჯერად თავის ცხოვრებისეულ მრწამსსა და მეთოდს გადაუხვია, მოუთმენლობით შეპყრობილმა მიჯნურის სანატრელი ნაწერი და მის მიერ ნატარები ნივთი ნაადრევად გამოუჩინა ტარიელს ისე, რომ არ შეაგუა სასიამოვნო სიახლეს, ნესტან-დარეჯანის წერილისა და მისი გამოგზავნილი რიდის გადანაკვეთის ხილვით ცნობამიხდილი, უსულოდ მდებარე ტარიელი ლომის სისხლით მოასულიერა და გააცოცხლა, თავად ლომის მეტაფორითა და სიმბოლოთი წარმოსახულ ტარიელს ლომის სისხლმა დაუბრუნა ცნობიერება:

მან პოვა სისხლი ლომისა, მოაქვს
სავსებლად ალისად,
მკერდსა დაასხა, გა-ვე-ხდა ლაჟვარდი
ფერად ლალისად (1345, 3-4).
ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა
სისხლი ლომისა
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი
*ინდოთა ტომისა (*1346, 1-2).

ამ ეპიზოდშიც ტარიელის მიერ ლომის მოკვლა, რომელიც დადებითი და უარყოფითი თვისებებითაა აღჭურვილი, ორგვარადაა მოტივირებული: ერთი მხრივ, ტარიელმა თავისი წარსული საბოლოოდ უნდა მოკლას და ლომის მოკვლით საკუთარ თავში, როგორც ლომის მეტაფორით წარმოსახულ პიროვნებაში, ნეგატიურ თვისებებს კლავს; მეორე მხრივ, ავთანდილმა ლომის სისხლით უნდა მოასულიეროს თავისი მოყვარე, რითაც ისე უნდა განახლდეს ტარიელის ცნობიერება, რომ ამიერიდან ლომის ნეგატიურმა თვისებამ მასში ვერ დაივანოს. ლომის სისხლის დასხმითა და მოსულიერებით ტარიელი ლომის დადებითი თვისებებით აღიჭურვება, რათა ქაჯეთის ციხის სახით ბოროტი ძალა დაამარცხოს. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ავთანდილის მიერ ასმათისათვის ნათქვამი სიტყვებით, რომლებითაც, ფაქტობრივად, პოემის დასაწყისში თინათინის მიერ როსტევანთან საუბრისას დასმული კითხვა უცხო მოყმის ნახვის ეპიზოდის შეფასებისას – *„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ (114/113, 4)* – პასუხგაცემულია, რაც სიკეთის გამარჯვებისა და ბოროტების დამარცხების შესახებ არეოპაგიტული მოძღვრების ანარეკლია: *„ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია; ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია, მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ (1361).*

შოთა რუსთველმა წარმოაჩინა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მომხიბლავი სახეები, რომელთა ერთიანი ქმედებით გახდა შესაძლებელი ქაჯეთის ციხის აღება, დამხობა და ნესტან-დარეჯანის გამოხსნა, რასაც პოემის დასასრულს სიმბოლური მნიშვნელობა აკისრია, რადგან იგი სიყვარულთან, სიკეთესთან არის ასოცირებული, ხოლო მისი გამოხსნა ამქვეყნიურ სამყაროში სიყვარულის, სიკეთის, რწმენის, იმედის განსახოვნებაა და იგი კიდევ ერთხელ მოწმობს იმ აზრს, თუ რა *„უთვალავი ფერით“* არიან დაჯილდოებულნი ღვთისაგან პოემის მთავარი პერსონაჟები – ტარიელი და ავთანდილი.

კატები

რობერტ ბერიძე

ო, ეს ჩვენი საყვარელი კატები, რა ლამაზები არიან, როგორი მოქნილები და სწრაფნი, სად არ ნახავთ მათ – ოჯახში, სხვენზე, ქუჩაში, ხეზე, სანაგვე ურნაში...

რამდენი რამ გაგვიგონია მათ შესახებ – კარგიც და ცუდიც. ალბათ, ქართული სიმღერაც ამაზე მეტყველებს: „ამბობენ, რომ შავი კატა, მოგვიტანსო ზიანს“...

ვითომ ზიანის მომტანნი არიან ეს უწყინარი არსებანი?! – არ დაიჯეროთ! ადამიანებს კატები უყვართ, თუმცა მათ უენობის გამო სიყვარულის ვერბალური გამოხატვის საშუალება არ გააჩნიათ. სასწაული იქნებოდა, მათ საუბარი რომ შესძლებოდათ, ან მემატიანეები რომ ჰყოლოდათ. არადა, მათ შესახებ რამდენ რამეს გავიგებდით, მაგრამ რა ქნან ამ უწყინარმა არსებებმა, რომლებსაც მხოლოდ კნავილი, კრუტუნი და კუდის ქიცინი შეუძლიათ.

ვინ იცის, ამ კნავილის უკან რამდენი მწუხარება ან სიხარული იმალება.

ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ მათი შორეული წინაპრები, ერთ დროს, გაღმერთებულებიც კი ჰყავდათ, სხვა ცხოველებთან შედარებით მათ საამაყოც აქვთ: როგორ ჟღერს – ღმერთ-კატა?!.. ჰა, დაუჯერებელიც კია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება!

დიახ, ღმერთად ჰყავდათ შერაცხული ძველ ეგვიპტელებს! რა ფერისანები იყვნენ მაშინდელი ღმერთად შერაცხული კატები – ჭრელი, შავი, თეთრი, რიჟა, ამაზე საისტორიო წყაროები დუმან, მაგრამ მათზე აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ როგორც ეგვიპტური, ასევე აღმოსავლური მეისტორიეები. მემატიანეთა ცნობებს ადასტურებს არქეოლოგიური აღმოჩენები – მუნიფიცირებული კატების დაბალზამირებული ნეშტები, ქანდაკებები, კედლებზე შემორჩენილი მგლოვიარე ეგვიპტური კატების ფრესკები.

ვინ იცის, ალბათ, მათი რწმენით, ფარაონთა მსგავსად, კატების მეორედ მოსვლაც იყო ამქვეყნად მოსალოდნელი.

კატების კულტიდან დაწყებული, დღევანდელობამდე, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომისა და ადამიანთა უკვდავების გარდა ბევრი სასწაული მოხდა ამქვეყნად. ადამიანი კოსმოსში გაფრინდა, მთვარეზე გაჩნდა მათი პირველი ნაფეხურები, გამოიგონეს რადიო, ტელევიზია, მობილური ტელეფონი, რობოტი, ხელოვნური თანამგზავრი...

მიუხედავად უდიდესი საკაცობრიო აღმოჩენებისა, კატები ადამიანებისთვის მაინც საყვარელ არსებებად დარჩნენ. გაღმერთებული კატების კულტმა საქართველოზე გავლით რუსეთსა და ევრაზიაშიც შეაღწია. დიახ, რუსეთს ვასახელებ, პირველ რიგში, სადაც ჩემი იქ ყოფნისა და ეთნოგრაფიული დაკვირვებების შედეგად ბევრი საინტერესო მასალა აღმოვაჩინე.

რუსეთში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თავიანთი სოციალური წარმომავლობით, ქალაქებსა და სოფლებში, ორი კატეგორიის კატები ცხოვრობენ.

სოფლის კატები უფრო მიშვებულნი არიან, – თავისუფლად ნადირობენ თაგვებზე, ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე იპარავენ წიწილებს, ძვრებიან სარდაფებში და სხვ. ხოლო ქალაქელი კატები, მიუხედავად საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობებისა და განათლებისა, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. ისინი მუდმივად იმყოფებიან დიასახლისის მეთვალყურეობის ქვეშ, მეტ წილს ტახტზე კოტრიალსა და ძილში ატარებენ და, რაც მთავარია, ქალაქელ კატებმა დაკარგეს თავიანთი მთავარი ფუნქცია: – თაგვების დაჭერა! კატა და თაგვი რომ ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებაა, ამას მტკიცება არ სჭირდება. ვაი იმ კატას, რომელიც თაგვს დაიჭერს. ასეთ კატას ქალაქელები სახლში არ აჩერებენ, რადგან თაგვიჭამია კატა ბინძურია. ბინძური კატა კი არ შეიძლება ტახტზე ან საწოლზე მოკალათდეს, – ხომ შეიძლება გული აერიოს, მაშინ ვაი მას!

ამიტომაცაა, რომ აქაურ კატებს ზომაზე მეტად კვებავენ. გამაძღარი კატა კი თაგვების ქორწილშიც რომ მოხვდეს, თათსაც არ გაანძრევს.

აქ კატის მოვალეობას სპეციალური ტექნიკური საშუალება ასრულებს, რომლის გამოყენება სოროში მყოფ თაგვს, ან ვირთხას, აიძულებს ცეკვა-თამაშით გარეთ გამოძვრეს. პატრონს ისღა დარჩენია, თვითონვე შეასრულოს კატის მოვალეობა, წრუწუნა შეიპყროს და სანაგვე ურნაში გადაუძახოს.

ბევრი საინტერესო და დაუჯერებელი ამბის შემსწრე და თვითმხილველი გავხდი მე, იმ დროს.

ერთმა დიასახლისმა, შავი დღისთვის გადანახული ფულით, ულამაზესი კატა იყიდა. სილამაზესთან ერთად მას საოცარი ინტელექტუალური და კულტურული ქცევებისაც აღმოჩნდა. თათზე დამაგრებული ჩანგლით მიირთმევდა ძეხვს, თევზს. იცოდა ორ თათზე დგომა, მუსიკის ხმაზე ცეკვა და, კიდევ, ტუალეტში გასვლამდე კნაოდა, პირს იბანდა. უფრო მეტიც: ერთხელ, შემთხვევით, სოროდან გამომძვრალ თაგვს ისეთი დიმპიტაური გაუმართა, შიშით ტახტზე ამხტარა დიასახლისი და თვალებს არ უჯერებდა, მერე კატა სოროსთან ძველი მეგობარივით კუდის ქიცინით დაემშვიდობა თაგვს.

რაც შეეხება მოსკოველ კატებს:

მოსკოველებს კატები, როგორც ოჯახის წევრი, ისე უყვართ, აფასებენ – დიდი რეკლამები აქვთ ტელევიზიებში, მათ დაცვაზე ყველა ზრუნავს – დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი!

აი, თუნდაც, ერთი გულისამაჩუყებელი ისტორია, რომელიც ერთ დიასახლისს – მარია ბარაგინას ოჯახს დაატყდა თავს:

„– ბინიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა ბუთხუზა, ანგორული კატა. მპოვნელი დასაჩუქრდება“! – იუწყებოდა იგი ერთ-ერთ სატელევიზიო საინფორმაციო განცხადებაში.

სად არ ეძებეს დაკარგული, მაგრამ ამაოდ! ხოლო მოსკოვის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომლები იმდენად გულქვანი აღმოჩნდნენ, ერთკვირიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, საქმე დახურულად გამოაცხადეს.

– განა ეს სამართლალია? – 18 მილიონიან ქალაქში ერთი კატა ვერ მოუძებნეს ქალბატონს!

ამას მიეძღვნა საპროტესტო აქცია: – „მოგვიძებნეთ ჩემი კატა“!

შეკრებილნი ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის დაუყოვნებლივ გადაყენებას მოითხოვდნენ.

გულისამაჩუყებელმა სატელევიზიო გადაცემებმა კი უფრო მეტი მოქალაქე ააღელვა და დაამწუხრა.

გადაცემის წამყვანმა საზოგადოებას ასეთი კითხვაც დაუსვა:

– „ჩემო მშვენიერო, ჩემო სიცოცხლევ, – ვის ვეძახით ოჯახში ასე“?!

წამით შვილები გამახსენდა და...

ჰოი, საოცრებაც! ტელეეკრანიდან ერთმა ახალგაზრდა ბავშვიანმა მანდილოსანმა – „კატა“! – წამოიძახა და პრიზიც დაიმსახურა.

მაგრამ კატების მოძულეებს რა დალევს ამხელა ქალაქში. საქმე შემდეგი გახლდათ: ერთმა მორწმუნე დიასახლისმა ერთ პატარა ოთახში ათი უპატრონო – „ობოლ-ოხერი“ კატა შეიფარა. მერე, როგორც შვილებს, ცივ ნიავს არ აკარებდა, – უკანასკნელ ლუკმას უყოფდა, მაგრამ, დახეთ უბედურებას! – გათავხედებულმა კატებმა მალე მეზობლის ბინაში შეაღწიეს და მთლიანად გადაუსანსლეს ძეხვი, რძე, თევზი, პური, დაუბინძურეს საძინებელი ოთახები. შეწუხებულმა დიასახლისმა ჯერ მილიციის რაიონულ განყოფილებას მიმართა, მოგვიანებით – ტელევიზიას. მილიციამ დიასახლისს დაუჭირა მხარი, ტელევიზიამ კი ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

– „ინგლისელ ლედი მერის 120 კატა ჰყავს, მეზობლები ეხმარებიან, უვლიან, შენ კი, კატების მოძულევ, რამ გაგიქვავა გული?!“

გამწარებულმა დიასახლისმა, ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ორი კატა მეათე სართულიდან გადმოაგდო, ხოლო ერთი – ცემით მოკლა. ამ ქმედებამ კიდევ უფრო აღაშფოთა კატების დამცველები და საპროტესტო აქციაც მოაწყეს...

კატების მკვლელ დიასახლისს, თუმცა, პასუხი ვერ აგებინეს, სისხლის სამართლის კანონის უქონლობის გამო, ლამის ინფარქტი დამართეს.

ერთსაც მოგახსენებთ: აქაური კატებისა და ძაღლების დალაქებს საკმაოდ სოლიდური ანაზღაურება აქვთ. ცხოველთა მომსახურება ხდება როგორც გამოძახებით, ასევე ადგილზე სპეციალურ სადალაქოებში, მითითებულია ტელეფონის ნომრებიც: ასე რომ, ამ მხრივაც კატები საკმაოდ განებივრებულები არიან.

– კატების გამოფენა... კატების გამოფენა!..

შემომესმა ერთ დღეს ტრეტიაკოვის გალერეიდან გამოსულს.

ახალგაზრდა, ფისუნიასავით ლამაზი ქალი, მეგაფონის მეშვეობით, ხმის ჩახლეჩვამდე, მოუწოდებდა გამვლელებს – დაეთვალიერებინათ მოსკოვში ახლადგახსნილი კატების გამოფენა.

– რა ღირს ბილეთი?! – ვკითხე ახალგაზრდა ქალბატონს.

– ათიათასი რუბლი, ძალიან იაფია!

– მოქალაქე, იყიდეთ ეს კატა! – მაჩერებს შუა ხნის ქალი და შავი ფერის კატას მაჩჩებს ხელში.

– რას აფასებთ?!

– სულ იაფად, – 200 დოლარად!

– რაო, ორასი დოლარი? რა ამბავია! ამ თანხით ხომ ჩვენთან მოზვრებს იყიდის კაცი.

– რა არის მოზვერი?

– ძროხის შვილი!..

დავყურებ კატას. არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი კატაა, სწორედ ისეთი, ჩვენი სოფლის ორღობეებში ათობით რომ დაწანწალებს ხოლმე წამდაუწუმ.

– იყიდეთ, არ ინანებთ! – არ ჩერდება ისევ.

– ძალიან ძვირია, ქალბატონო!

– ათ დოლარს დაგიკლებთ!

ამჯერად კატას მართლა მუშტრის თვალით დავხედე, განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე.

– იყიდეთ, ჩვეულებრივი კატა არ გეგონოთ, თაგვებს იჭერს, მაგრამ არ ჭამს.

– კიდევ? – დავეკითხე გამომწვევად.

– საკუთარი კუდის დანახვაზე ადგილზე ბზრიალებს, კნავის, უსტვენს და ცეკვას კიდეც.

– პიანინოზე დაკვრა თუ იცის?! – ახლა უკვე სერიოზულად დავუსვი კითხვა.

– პიანინოზე არა, მაგრამ გიტარაზე უკრავს!

– აა, ეს კი სხვაა. თან ხომ არ მღერის? – ისევ ვეკითხები გამყიდველს.

– როგორ არა, არაჩვეულებრივად კნავის!

– არ გამაგიჟოთ! მერედა, როგორღა ყიდით ასეთ კატას, არ გენანებათ?!

– მენანება, როგორ არა, მაგრამ რა ვქნა, მიჭირს!

– რას აჭმევთ?

– თევზს, ძეხვს, ორცხობილას, რძეს, – ტანსაცმლის ტარებაც უყვარს. ზამთარში ჩექმასაც ვაცმევ!

– არაყს თუ სვამს?

– დამცინით?

– როგორ გეკადრებათ. აი, არყისმსმელი კატა რომ იყოს, სიამოვნებით ვიყიდდი.

– სად გაგონილა არყისმსმელი კატა?

– როგორ თუ სად, გასულ კვირას ჩემმა მეგობარმა შავ ბაზარზე იყიდა.

– იტყუებით! თან ჩემს გასულელებას ფიქრობთ.

– არ დაგცინით, ქალბატონო, ბებიაჩემ აგრაფინას სულს ვფიცავარ, ჩვენთან, საქართველოში, ინდაურებსაც ვასმევთ არაყს და ისე ვაჯენთ ქათმის კვერცხებზე. სამწუხაროდ, ჩვენებური ინდაურები რძეს არ სვამენ. კატები თუ რძეს სვამენ, რატომ არ შეიძლება არაყიც მიირთვან. მე მხოლოდ არყისმსმელი კატის ყიდვას ვაპირებ.

– არყისმსმელი ჩემი ვანიაა, ჩემი ქმარი, თუ გინდა ვანიას მოგცემთ!

– ასე იმეტებ შენს ვანიას? სერიოზული ქალი ჩანხართ, ოჯახის შენარჩუნებაზე არ ფიქრობთ?

– ფიქრით ყველა ფიქრობს, მაგრამ ინდაური რომ სვამდეს არაყს, ჩემთვის მაინც დაუჯერებელია!

– შვილების თავს გეფიცებით!

– ალბათ, ასეთი ინდაურები ძვირად ფასობენ, ხომ?

– სეზონს გააჩნია!

– უცნაური ქვეყანა გქონიათ!

– ჰო, ბევრად უცნაური, ვიდრე ეს თქვენ გგონიათ...

რაღაც გამახსენდა და ისე სწრაფად გავცილდი კატის გამყიდველ ქალბატონს, არც დავმშვიდობებივარ.

დამაგვიანდა, ვითომ? ვფიქრობ ჩემთვის... ალბათ, ცოტაც და მართლაც დაიკეტებოდა ფოსტა. იმ დღეს დიდი ჯაფით აღებული ხელფასის დანაზოგიდან 100 დოლარი გამოვაგზავნე საქართველოში...

მამა გიორგი (კარლო) ოდიშვილი

როგორც მადლობას

ჩემი სიცოცხლე არის ხანძარი,
შემოქმედების ცეცხლით ხარება,
სულო ბოროტო, ვერ გადამძალე,
წყეულო, გიჭირს ახარხარება.

მტანჯავ და მტანჯავ, მაინც ვერ ცხრები,
რადგან აპრილი ჩემთვის აპრილობს,
ეს სიმღერები, როგორც მერცხლები
გულიდან უნდა ამოვაფრინო.

მიმატებ დღეთა უსინათლობას,
შხამი იღვრება შენი პირიდან,
მაგრამ სიცოცხლეს, როგორც მადლობას,
სიმღერით მაინც ღმერთთან მივიტან.

ძვლები

ჟამი ავად დარიალდა,
ალგეთს გადმოალაჯა,
არვინ დარჩა დარიალთან,
საქართველოს დარაჯად!

ხმალზე ჟანგის ნაძახია
მკლავიც გადამეფისა...
მეფეთა ძვლებს გასძახიან
ძვლები დავით მეფისა...

***

ჭკუას გულთან ვერ ვატოლებ,
დედი, მხედავ, გიჟად მავალს,
მთვარეს ჩემთვის დავიტოვებ,
მზეს გაჩუქებ ამომავალს.

დედი, ტკივილს მიმსუბუქებ,
როცა გაშლის დარდი კარავს,
ჩემს სიცოცხლეს შენ გაჩუქებ,–
მე შენს სიკვდილს მოვიპარავ.

***

დღეო, უმძაფრეს დარდის მომტანო,
ჩემს სიახლოვეს შავი ბურია,
ცეცხლზე დამწვარი მე ვარ ჯორდანო,
ვარ ჩაძირული დიოსკურია.

სული ახალი მზით შემიმოსე,
ცეცხლი ამინთე, როგორც ხარება,
რომ არ მოედოს ყვითელ მიმოზებს
მსოფლიო ტვინის გამყინვარება.

***

გზა ოცნებამ ამირია
უტოლდება სევდა ნილოსს,
ჩემი ბედი ყამირია,
შენი – ღმერთმა აყვავილოს.

ჩამეწურა თვალში ბინდი,
შენთვის თბილი ამინდია,
ეს ცხოვრება საით მიდის,
ეს დღეები სად მიდიან.

სულში დენთი იწვის ახლა,
გულშიც ფეთქავს გამალებით,
დაეძებენ გზა-წვრილს მაღლა
ჩემი დარდის ტრამალები.

დაიზამთრებს სული მთაზე,
აქ წამების გზა იწყება,
მე სიცოცხლე მსურდა ისე,
შენ კი ჩემი დავიწყება.

შეიძინე, ალბათ, გჯერა,
რაც ცხოვრება გსურდა მშვიდი,
და ის, შენი ჯვარისწერა
იყო ჩემი პანაშვიდი.

გულს რომ მიწვავს ანატკივარს
და ძვლებს მკაფავს ნაჯახებით,
მე ჩემს წარსულს გავურბივარ,
ვით დახვრეტას ყაჩაღები.

***

დრო რა უცებ მიილია,
ახლა სხვა ამინდია,

მოვა, მოვა!

ვიღაც რითმას მაინც ხმარობს,
ბევრს ურითმოდ ელექსება,
რითი უნდა გაგვახაროს,
ნიჭის ერთმა მეექვსედმა.

სრული ნიჭი, ნიჭზე მეტიც
საუკუნის მოსდევს ლოდინს,
ჯვარს რომ ზიდავს ის პოეტი
მოვა, მოვა, მაგრამ, როდის?

პოეტობა ჯვარცმას ნიშნავს,
პოეტს შუბლში ტყვიაც ხვდება,
ვინც ატარებს ღმერთის ნიშანს,
პოეზიის ჯვარზე კვდება.

***

ნისლი მოედო შირაქს,
ზღვაც დაუფარავს ბინდებს,
მივდივარ, სევდა მიმაქვს,
მამულის დარდი მიმდევს.

გზა-გზა ნისლებად ბოლავს,
უამინდობა ავი,
რარიგ მოგვიღეს ბოლო,
რარიგ გაგვაძრეს ტყავი.

ათიოდ კაცი ბორგავს,
ჯანღი ედება შამქორს
და საუკუნე მოჰგავს
ჩვენთვის იუდას ამბორს.

სურამის ციხესთან

მხრებით აკავებ
ზურაბ, ცივ ლოდებს
და საქართველოს
ფუძე-საკირეს!..
შთამომავლობის
ჩვენ გვეშინოდეს,
თორემ, შენ ვერვინ
ვერ შეგაშინებს.

გულში ჩუმი ტკივილია,
რაღაც უცხო ბინდია.

რატომ იხვევს გული ამდენ
სევდას ზამთრის ფერებით,
ოცდაათი წლის წინანდელ
ტკივილს თუ ეფერები.

ვინ რა იცის, მოთმინებას
რაც გადაუტანია,
ახლა შენთვის ზამთარია,
გათოვს დიდი ხანია.

თოვლს შეიმკობს, ვით საყურეს
სისხლისფერი ასკილი,
როცა კარზე მოაყურებს
ის დღე უკანასკნელი.

და ვერხვები უფრო ნამდვილ
საზრუნავზე ცილობენ,
ოცდაათი წლის წინანდელ
ქარით გაგაცილებენ.

ალუდა ქეთელაურს

ძმას ძმისთვის მტრობა სწყურია,
შენ მტერს დაუკალ კურატი,
ნამუსის ქუდი სხვას ჰქონდეს,
მე შენსას დავიხურავდი.

შენგან მოკლული რომც ვიყო,
სულეთს ამაყად ვივლიდი,
აქეთ მეტყოდი შენდობას,
აღარას დავიჩივლებდი.

არ შეგხვდებოდი

არ შეგხვდებოდი, –
გავიდოდი ტყეში ფირალად,
ქალი მეგონე,
თვალებს ვენდე,
ჭკუას კი არა,



არ საკადრისი პოეტისგან
ისმის გინებად,
შენ თუ ცოლი ხარ
ჩემს ლექსებზე რად გეტირება?!

მერან კოსტავას

თავისუფლების ჰიმნით და დროშით,
იარე, გქონდა გზა საარაკო,
შენ ამ თახსირ და უგრძნობელ დროში
ქვაც გინდა ლექსად ალაპარაკო.

მაგრამ ცხოვრება შენს სურვილს არ ჰგავს,
ჟამი მოაფენს აქ სიარამეს,
იცის, სიყვარულს რომ ეძებ ყველგან,
მხოლოდ სიყვარულს – არა სხვა რამეს.

ქარს ნაუღია ჩემი შროშანი,
მე შენ დაგეძებ, ჭრელო იელო,
ის სიხარული ისე შორს არის,
ტანჯვაა ახლოს სამაგიეროდ.

ვერ შევეჩვიე ყოფნის არშინებს,
მჯერა, უფალო, ცოდვილს მიშველი
და როგორც პოეტს, აღარ მაშინებს
სულის და ხორცის დღეგამთიშველი.

რომ გული მუდამ დარჩეს ხალასი,
იმედი ფარად უნდა ვუფარო,
რადგან სიცოცხლით ასე ამავსე,
ისევ სიცოცხლით მომკალ, უფალო.

***

გამჩნევ სისველეს თვალზე მოდენილს,
გულსაც ოცნების ფერფლი ედება,
ახლა უდაბნოს გზას ელოდები,
სადაც ხსნაა და დაიმედება.

მიდიხარ, მოგდევს შენი იუდა,
რომ გადულეკა ყოფნას ნუგეში,
რა შეგრჩენია, ვის რას მიუტან,
ჩამწვარო შენი დარდის გუბეში.

მიდიხარ, ფიქრობ, არ დაბრუნდები,
აცალე მაინც მეწყერს დაშრობა,
არ იცი, გზაზე თოვლის გუნდებით
ჩაგსაფრებია შენი ბავშვობა.

მიდიხარ, გულის კარიც ჩარაზე,
სადა გაქვს ფეხის მისაბიჯები,
ჯოხის ცხენებით, სოფლის შარაზე,
დაგიხვდებიან სოფლის ბიჭები.

მიდიხარ, მიხვალ, გულში ბინდია,
ოცნება – შენთვის აუსრულები,
საქართველოდან ასე მიდიან
პოეტები და მარტოსულები.

როგორც მადლობას

ჩემი სიცოცხლე არის ხანძარი,
შემოქმედების ცეცხლით ხარება,
სულო ბოროტო, ვერ გადამძალე,
წყეულო, გიჭირს ახარხარება.

მტანჯავ და მტანჯავ, მაინც ვერ ცხრები,
რადგან აპრილი ჩემთვის აპრილობს,
ეს სიმღერები – როგორც მერცხლები
გულიდან უნდა ამოვაფრინო.

მიმატებ დღეთა უსინათლობას,
შხამი იღვრება შენი პირიდან,
მაგრამ სიცოცხლეს, როგორც მადლობას,
სიმღერით მაინც ღმერთთან მივიტან.

მოგხვდება

როცა უტევენ სიმართლეს,
ქვეყანა როცა ოხრდება,
ეშმაკი ყურით მიგათრევს,
სიმართლის გამო მოგხვდება.

თუკი სიკეთეს მსახურებ,
აგიმხედრებენ გადიებს,
ბოროტი შემოგახურებს, –
გმირობას ვინ გაპატიებს.

და თუ შიშისგან მოგედო
გრძნობის ფერფლი და ნაცარი,
მორჩა, დამთავრდა, პოეტო,
სიცოცხლის აზრი რაც არი.

გაგთელავს ნიჭის მომფენი,
ზეცის ატყდება განგაში
და სულის უარმყოფელი
ჩაიმარხება ნაგავში.

როცა ქვეყანა იქცევა,
სიმართლე როცა ოხრდება,
ბრძოლიდან თუ გაიქცევი
სიკვდილზე მეტი მოგხვდება.

მღვდელ მამა ისახარს

მღვდელს რომ ვეძებდი და ქრისტიანს
სწორედ ისა ხარ,
მადლობა უფალს, რომ გიპოვე,
ძმა, ისახარ!

***

დააყაჩაღა ქარმა ბაღები
და საპატარძლოც შემოახია,
გაძარცვული და დამყაჩაღები
ჩემს მეტს არავის დაუნახია.

მილეწ-მოლეწა ატმის რტოები,
აპრილი გულზე გადაიბნია,
მერე დაცხრა და განმარტოებით
მზეს მიეფიცხა, როგორც ნიბლია.

გაჰქრა, წავიდა

დროსაც ვეომე, ბედსაც ვედავე,
საით ვეძებო, გაჰქრა, წავიდა,
თავ-ქუდმოგლეჯილს როცა მხედავენ,
მინდა გავიქცე ჩემი თავიდან.

პოეტს სხვაგვარი ცრემლი ჰქონია,
გრძნობა და ფიქრი ცეცხლად აენთო,
ახალგაზრდობა გაჰქრა, მგონია,
ან მოჩვენება იყო, საერთოდ!

როლანდ თოფჩიშვილი

(გაგრძ. დას. იხ.N11-12 2016 წ. N1,2 2017)

ნაწილი II

სამცხე-ჯავახეთის

სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა?

(ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში)

ისტორიული საქართველო სამი დიდი გეოგრაფიული რეგიონის – აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთობლიობას წარმოადგენდა. ისევე როგორც ყველა ქვეყანა, საქართველოც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად – ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებად იყოფოდა და იყოფა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საერთო სახელი ზემო ქართლი იყო. მას მესხეთსაც უწოდებდნენ. თავის მხრივ, ზემო ქართლი, ანუ მესხეთი, უფრო პატარა „ქვეყნებისაგან“ შედგებოდა, რომლებიც ეთნოგრაფიული და დიალექტური თავისებურებებით გამოირჩეოდნენ. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მხარეებს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს უწოდებენ. ზემო ქართლის/მესხეთის მხარეები იყო: **თორი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, ტაო**... ტერიტორიით ეს ერთეულები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ტაო იმიერ ტაოდ და ამიერ ტაოდ იყოფოდა. აქ ცალკე მიკროორეგიონები იყო – პარხალი, ოლთისი და თორთუმი; კლარჯეთში ცალკე გამოიყოფოდა ლიგანი; შავშეთის შემადგენელი ნაწილი იყო იმერხევი. ვახუშტი ზემო ქართლის (მესხეთის) მთელ მოსახლეობას შემდეგნაირად ახასიათებს: **„ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჭნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ჭელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ჩ ქკვ (ე. ი. 1626 წლამდე – რ. თ.), ქართულისა ტ იდ-მე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი...“** „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმითა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახელებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყჳან ქართულსავე“ *(ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 660-661).*

ასე რომ, ისტორიულად ზემო ქართლის (მესხეთის) მოსახლეობა ყოველთვის ქართული იყო. ამის შესახებ საგანგებო მითითებაა **შოთა ლომსაძის** წიგნში – *„სამცხე-ჯავახეთი“ (შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე. თბ., 1975).* რომელშიც მხარის ეთნიკურად ქართული სურათი მოცემულია არამარტო ქართულ, არამედ, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობითაც *(ევლია ჩელები, შარდენი, გიულდენშტედტი...).* სამცხე-ჯავახეთი ეთნიკურად რომ ქართული მხარე იყო, ეს კარგად ჩანს თურქთა მიერ 1595 წელს შედგენილი *„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან.“* იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხარის მოსახლეობის ანთროპონიმია ქართული იყო (ოჯახების უფროსები ჩაწერილი არიან სახელითა და მამის სახელით). ზემო ქართლის (მესხეთის) მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით ჯერ თურქეთისა და შემდეგ რუსეთის იმპერიების მცდელობით მკვეთრად შეიცვალა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დარტყმა ჯავახეთმა განიცადა.

ჩვენი ინტერესის სფეროს ამჯერად სწორედ ჯავახეთი წარმოადგენს, რადგან აქ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა დღეს მინიმუმამდეა შემცირებული. ჯავახეთის ძირითად მოსახლეობად 1828 წლის შემდეგ ოსმალეთის იმპერიიდან გადმოსახლებული სომხები იქცნენ. ბუნებრივია, კითხვა ისმის: სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას ქართული საბუთები და საარქივო მონაცემები გვაძლევენ. მანამ, სანამ სათანადო მასალებს მოვიხმობთ, ცოტა რამ ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ: ჯავახეთს, გეოგრაფიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მას ვრცელ მონაკვეთზე თრიალეთ-ქვემო ქართლი ესაზღვრებოდა. გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე ჯავახეთს კავშირები ჰქონდა შიდა ქართლსა და თორთან; ჩრდილოეთით – ჯავახეთის მოსაზღვრე თრიალეთი და თორი იყო; დასავლეთით მას სამცხე და ერუშეთი ესაზღვრებოდა; სამხრეთ-დასავლეთით – არტაანის ქვეყანა, სამხრეთით – აბოცი და პალაკაციო. ვახუშტი ბაგრატიონი დაწვრილებით აღწერს

ჯავახეთის ქვეყანას, ჩამოთვლის მის მდინარეებს: *ჯავახეთის მტკვარს, გოკიოს მდინარეს, ფოსოს წყალს, ბარალეთის მდინარეს, აზავრეთის ხევს, ბუშათის ხევს, მოდეგის ხევს, ახალქალაქის წყალს.* ჯავახეთი მდიდარია ტბებითაც *(კარწახის ტბა, ფანავრის ტბა, საღამოს ტბა...). „ესე არს ჯავახეთი. და არიან ამ ტბებთა და მდინარე-ჴევთა ზედა დაბნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის ჯავახეთს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელიც აღვსწერეთ; სამჴრით მთა ნიალისყურისა, რომელი მდებარეობს გოლის ტბიდამ ანუ ხავეთიდამ ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. და არს მთა ესე სრულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყუავილიანი და წყაროანი, ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროსთავის კერძო მტკურამდე – ტყიანი ნადირ-ფრინველიანი. ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს ძუელად მტკუარი, და აწ ნიჯგორს ხერთვისს ზეითი, და წყაროსთავის დასავლით წარსულნი მცირენი გორანი; ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწურივ მტკუარამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამჴრის კერძის მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე. არამედ არს ესე კოდიანის მთა ტყიანი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკულიანიდან და ჭობისხევიდამ და მოვალს კოჴტის-თავამდე, მერმე დამდაბლდების და დასწყდების ნიჯგორს ზეით ჴრამზედ.*

ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწუენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერნი და მოუცდენელნი. ჰავითაც მსგავსი, გარნა უმჯობესიცა ზამთარი დიდ-თოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მრონლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გუარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი გზავსნი ქართლისა გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი, უსაქციელონი ბრიყუნი; სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უვით მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღუდელი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიც დამჭირნეობისათჳს ოსმალთა“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 671-672).

ასეთივე ეთნიკურ-ენობრივ სიტუაციას აღგვიწერს *გიულდენშტედტი,* რომელიც XVIII საუკუნის 70-იანი წლების ვითარებას ასახავს. ის წერდა: **„ჯავახეთი არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია და ეკუთვნის ახალციხის გუბერნიას“** *(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 215).* იგივე ავტორი ქართველთა გათათრებაზე (გამაჰმადიანებაზე) და ქართულთან ერთად თურქული ენის გამოყენებაზეც მიუთითებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჯავახეთში რომ მრავალი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, ამის შესახებ ცნობას ისტორიკოს *ომან ხერხეულიძესთან* ვხვდებით, როდესაც ის აღგვიწერს ლეკთა მიერ ჯავახეთის დარბევის ამბავს: *„ამასვე წელსა (1760 წელს – რ. თ.) ლეკებმა ჯავახეთი მოარბიეს და მრავალი ქრისტიანე დაატყვევეს. დახვდა მეფე ირაკლი ყარაიაზედ ღამე, ეს ლეკის ჯარი დაამარცხა, მრავალი ლეკი მოჰკლა და ტყვე, საქონელი სულ გააყრევინა და მისცა ნება ყოველსა თვისსავე ქვეყანასა წასვლისა. ესე გამარჯვება იყო ივნისის 4“ (ომან ხერხეულიძე. „მეფობა ირაკლი მეორისა“. ლ. მიქიაშვილის გამოცემა. თბ. 1989, გვ. 50).*

სამცხესთან ერთად, ჯავახეთი მჭიდროდ მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან იყო დაკავშირებული, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. *ივანე ჯავახიშვილი* აღნიშნავდა, რომ „ამგვარი ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფველი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ ე.ი. ჩრდილოეთისაკენ აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც. ისტორიკოს *პაპუნა ორბელიანის* სიტყვები ცხადჰყოფენ, რომ *მე-18 ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთს და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად (რვ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. თბ. 1996, გვ. 37-38).* ამავე ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა, რომ *„მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე, ჯავახეთითგან (ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (ახალციხის მაზ.). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგნენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, და ამ საბუთების ძალით თავიანთი უფლების აღდგენას თხოულობდნენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით, განრისხდა ორე ადგილიღა ეჭირათ.*

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში“ ((ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ. 1996, გვ. 35).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯავახეთი მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული. მის დროს მცირე რაოდენობით სომეხნი და ურიანი მხოლოდ ორ მცირე ქალაქში – გოკიოში და ბარალეთში – მკვიდრობდნენ, ადგილობრივ ქართველებთან ერთად: *„გოკია არს ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი... მტკვრის შესართავს ზეით, არს ბარალეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“* (დასახ. Lლიტ.გვ. 669-670).

ზემოთ აღვნიშნეთ და კვლავაც უნდა გავიმეოროთ, რომ 1595 წელს თურქების მიერ შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ჯავახეთის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები იყვნენ, რასაც ადასტურებენ ანთროპონიმები. აღწერილ მამაკაცთა სახელები და მამის სახელები მთლიანად ქრისტიანული და ქართულია. აქ გავრცელებული იყო ისეთი სახელები, როგორებიც დანარჩენ საქართველოში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ: *აღდგომელა, ახალა, აბიათარ, არაბა, ბასილ, ბატატა, ბატატგული, ბალუჩა, ბიძინა, ბერო, ბერბერა, ბევროზ, გაგა, გათენა, გოგიჩა, გენება, გელიტა, გაგუჩა, გოგინა, გრიგოლ, გელა, დათუნა, დავით, დემეტრე, ემეტა, ენუქ, ვარძელ, ვარაზგულ, ვეფხია, ზაზუტა, თევდორე, ირემა, ია, ივანე, იმარინდო, კაკალა, კაპანა, კაკუტა, კიკნა, კარიჭა, კაკაბა, კვირიკა, ლაშქარა, ლომკაცი, ლომა, მახარობელი, მახარია, მამუკა, მამისა, მაცაცა, მინდოდ, მაცხონა, ნარჩემა, ნიკოლოზ, ნათა, ნარინდავით, ნარჩემა, პაპუნა, პაპაგულა, პეტრე, პავლე, რუსია, რევაზ, სიმონ, სიმონგულ, სულია, სიხარული, ტყემალა, ფოფხა, ფოცხვერა, ქრისტესია, ქაქუჩა, ღვინია, ღონენა, ყურა, შოთა, შავთვალა, შეწირულა, ჩიტია, ცისკარა, ცხადა, ძამანა, წამალა, ჭაბუკა, ხოხობა, ხარება, ხიზანა, ხატია, ჯალაბა, ჯვარა, ჯოჯიკ...* ქართული იყო ოიკონიმების (სოფლის სახელები) ძირითადი ნაწილიც. შეიძლება დავასახელოთ: *აგარა, ალაისუბანი, აზავრეთი, აფნია, აბული, ასფარა, აწყვიტა, ბავრა, ბალანთა, გიორგიწმინდა, გომი, გოკია, გელთუბანი, გელსუნდა, გელციხა, დადეში, დადუბანი, დიდი მაჯადია, დიდი მამზურა, ელიასუბანი, ვანისხევი, ვაშლობი, ვანისქვაბი, ვარდციხე, ვარგავი, ზაქარწმინდა, ზედა ვარძია, ზემო ალასთანი, ზემო სამსარი, ზემო ხოსპია, თოლერთა, თორია, თოკი, იფნეთი, კაჭიო, კულეთი, კოთელია, კორისხევი, კორხი, კორცხალუ, ლომატურცხი, ლაღათუბანი, ლეპისი, მახარო, მაცხონა, მოლითი, მურჯახეთი, მურჯიკანი, მუკუზაშენი, ნაქალაქევი, ნიჯღორი, ორმოცი, ორხოფია, ოძისი, ოკამი, პრტენა, როკეთი, სალოშეთი, სამწუბი, სარო, საღამო, ტაბისყური, ტურცხი, ფანაკეთი, ფოზანო, ქარწაბი, ქურდოვანი, ქვემო ორჯა, ქვემო ნიალა, ღრტილა, შვიდეკლესია, შუადღე, შაორი, ჩუნჩხელი, ცხენკელა, წინუბანი, წუნდა, ჭარული, ჭაჭკარი, ხანდო, ხიდჯვარი, ხიზა, ხიზაბავრა, ხერთვისი, ჯანჯღა...* (*„გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. ნ. II, გვ. 171-257).*

ჯავახეთში XVI საუკუნის დასასრულს მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო მუსლიმი და სომხური მოსახლეობა. ქართულ მოსახლეობასთან ერთად ორივე დასახელებული ეთნიკური ერთეულის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ *ხერთვისის ციხის რაბათში, სოფელ ორჯუაში, კუმურდოში, პატარა მამზურაში, თმოგვის ციხის რაბათში.* ეს იყო და ეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარმა“ მეცნიერებს საშუალება მისცა დაეანგარიშებინათ 1595 წლისათვის საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში რამდენი იყო ქართული და არაქართული მოსახლეობის პროცენტული თანაფარდობა. ხერთვისის რაიონში ქართველები 99,28%-ს შეადგენდნენ, ტყიანი ჯავახეთის რაიონში – 99,2%-ს, ბუზმარეთის რაიონში – 99,5%-ს, აკშეპირის რაიონში – 92,6%-ს, თმოგვის რაიონში – 82,98%-ს, ნიალისყურის რაიონში – 96,51%-ს. *(თ. იველაშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური დახასიათება გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით. – ანალები. 2004. N1, გვ. 48-49)..*

უცხო ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლებს – სომხებსა და თურქებს – ცალკე სოფელი არ ჰქონდათ; მათი უმნიშვნელო რაოდენობა მხოლოდ ქართულ სოფლებში ქართველებთან ერთად თანაცხოვრობდა.

ამასთანავე, ამ დროს საქართველოს ამ პროვინციაში მძიმე დემოგრაფიული სიტუაციაა, – მოსახლეობა უაღრესად შეთხელებული იყო. 1595 წელს ჯავახეთის 153 სოფელშია მოსახლეობა. იმავე აღწერით, აქ 102 ნასოფლარია დაფიქსირებული. აშკარაა, თურქთა აგრესიას ჯავახეთისთვის როგორი ზიანი მიუყენებია. სოფლების მხოლოდ 60 პროცენტშია მოსახლეობა შემორჩენილი. 40 პროცენტი სოფლებისა კი ნასოფლარებადაა ქცეული. ამავე დროს, მრავალ სოფელში მხოლოდ რამდენიმე ერთეული კომლი დაითვლებოდა. ათ კომლზე ნაკლები ცხოვრობდა 71 სოფელში, 11-დან 20 კომლამდე იყო 62 სოფელში, 21-დან 50 კომლამდე – 14 სოფელში. 50 და მეტი ოჯახი სულ ხუთ სოფელში. ეს ხუთი დიდი სოფელი იყო: ხერთვისი (129 კომლი), თმოგვი (70 კომლი), ხანდო (63 კომლი), ქარწაბი (54 კომლი) და ჩუნჩხელი (52 კომლი). საერთოდ, XVI საუკუნის მიწურულისათვის ჯავახეთში 2033 კომლი იყო აღრიცხული. რეალურად უნდა მივიჩნიოთ იმ დროს შვიდსულიანი კომლი. ამდენად, 1595 წელს ჯავახეთში დაახლოებით 14 231 სულს

→

ეთნიკური ისტორიიდან

უცხოვრია. საშუალოდ სოფელი 13 კომლიანი იყო. სოფელში კი საშუალოდ 92 სული მკვიდრობდა. ნასოფლარების რაოდენობასა და მძიმე საგარეო ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ჯავახეთში შეიძლება 7000 კომლსა და 50000-მდე სულს ეცხოვრა. მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობამ მაინც იმატა ბუნებრივი გამრავლების გზით. თუმცა ყოველივე ეს ქრისტიანული რელიგიიდან მაჰმადიანობაზე გადასვლის ფონზე მიმდინარეობდა. ჯავახეთს მძიმე ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია XIX საუკუნეში შეექმნა, როდესაც აქ მეფის რუსეთმა თურქეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანებისა და აღმოსავლეთ საქართველოში გადასახლებული ქართველი მართლმადიდებლების ნასოფლარებში თურქეთიდან სომეხთა დიდი რაოდენობა შემოასახლა.

თურქთა აგრესიამ და ოკუპაციადაპყრობამ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესები განაპირობა. საისტორიო საბუთებზე და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ სამცხელთა გადასახლებანი ძირითადად დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი) იყო მიმართული, ჯავახები კი აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად ქართლში) მიგრირდებოდნენ.

ამრიგად, თუ სად წავიდა, საით გადასახლდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, აქ ერთი სიტყვით გაეცა პასუხი. ამ მოსაზრების გასამყარებლად საჭიროა საისტორიო საბუთებისა და საარქივო მასალების მოხმობა. სანამ ასეთ მონაცემებს გავეცნობით, ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების შესახებ. როგორც ირკვევა, ქართული ეთნოსის გადარჩენაში მოსახლეობის ადგილმონაცვლეობას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. დღეს რომ საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში ქართველები მკვიდრობენ, ეს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში მოსახლეობა ხშირად გადადიოდა საცხოვრებლად ერთი პროვინციიდან მეორეში, მთიდან – ბარში, აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოდან – აღმოსავლეთ საქართველოში, სამხრეთ საქართველოდან, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და, პირიქით. საქართველოს მოსახლეობისაგან ამოვარდნილი არა ერთი მხარე სწორედ მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად იქნა მოშენებული. როგორც **ნ. ბერძენიშვილი** აღნიშნავდა, ქართველი მიწის მუშა მუდმივად იმის ცდაში იყო, ეპოვა თავისუფლება, ცხოვრების უკეთესი პირობები. ამასთანავე, მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესებს ბევრად განაპირობებდა საგარეო ფაქტორი. ასე რომ, ეს მოვლენა მშვიდობიანობა-ომიანობასთანაც იყო დაკავშირებული. *(თოფჩიშვილი რ. „მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში“. კრ.: „მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (მეორე საქართველოს სამეცნიერო კონფერენცია). თბ. 1998, გვ. 34-41).*

მოსახლეობის შიდა მიგრაციულ გადაადგილებებს ყოველთვის როდი მოჰქონდა სასურველი შედეგი. მართალია, გადასასახლებელ ადგილებში ის ქართული ეთნიკური ერთეულის კვლავწარმოების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ თუ ეს გადასახლებანი ინტენსიური და ჯგუფური იყო, მაშინ იმ რეგიონში, საიდანაც მიგრაცია მიმდინარეობდა, ზოგჯერ ქართული ეთნოსი წყვეტდა არსებობას. ასეთი რეგიონების ტიპურ მაგალითებად კი შეიძლება შიდა ქართლის მთიანეთი, დვალეთი და ჯავახეთი მოვიყვანოთ. ქართული ეთნოსის აქედან აყრა-გადასახლებას სხვა ქვეყნებიდან უცხო ეთნოსთა მიგრაცია მოჰყვა.

XVII-XVIII საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლების არაერთი ფაქტია ფიქსირებული ქართულ საისტორიო საბუთებში. მხოლოდ ზოგიერთი მათგანიდან მოვიყვანთ ამონაწერებს. **იორამ თარხნის** მიერ **თევდორე მაღრაძისადმი** მიცემულ 1751 წლის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: **„ქ. ნებითა... ესე... წყალობის წიგნი დავსწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონმან თქვენმან** *თარხანმან იორამ*, **ძმა ჩვენმან** *გიორგიმ* **და** *იოანემ*, **ჩვენმა ბიძაშვილმა** *გლახამ* **თქვენ, ჩვენსა ყმათ ხიზაბავრელთ** *თევდორეს, ოქროასა, მაღრაძესა მახარასა, ადუასა*, **შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;** – ასე რომე, **ჯავახეთიდამ გადმოხვედით და ჩვენ ყმათ დაგვისახლდით, სარჩო და მამული გვთხოვეთ და ჩვენ გიბოძეთ თვალ'ზედ ჩვენის ყმის ბასილაშვილის მამული, სულ ჭელ-შეუვალათ, რისაც მამულის მჭირავნი ყოფილიყვნენ თავის სასაფლაოთი, სახლ-კარით... შესავლითა და გასავლითა, ესენი ყველა თქვენ, ხიზაბავრელებისათვის გვიბოძებია“** *(დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. ნ. ბერძენიშვილის გამოცემა. თბ. 1953, გვ. 42).* ვფიქრობთ, საბუთის კომენტირება საჭირო არაა. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჯავახეთიდან ოთხი კომლის მიგრაცია შიდა ქართლის გაღმა მხარეში მოხდა. სოფელი თვალი საქართველოში ორგან იყო – გარე კახეთსა და შიდა ქართლში. საბუთში შიდა ქართლის სოფელ თვალზეა საუბარი, რომელიც კავთისხევში, ნინარეხსა და გუდარეხს შორის მდებარეობდა და, რომელიც *თარხნიშვილების* სამფლობელო იყო. დღეს მას **თვალადი** ჰქვია.

თარხნიშვილებს ჯავახეთიდან სხვა გლეხებიც მოსვლიათ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1768 წლის „მოსამართლეთა განაჩენი ზაზა *თარხნიშვილისა* და *მიროტაძის* დავაზე“. ჯავახეთიდან ქართლში გადმოსახლებულ გლეხებზე ფეოდალებს ცილობა შეექმნათ. დოკუმენტი იმდენად საინტერესოა, რომ ვრცელ ამონარიდს მოვიყვანთ: ***„ქ. აბულაძე თამაზა ჯავახეთიდამ აყრილიყო და ზაზა თარხნიშვილს მისლოდა. რამდენსამე წელიწადს მის ყმათ ყოფილიყო. მერე მიროტაძე ტყუილათ წასდავებოდა, რომ ეგ თამაზა აბულაძე ჩემი სახლის კაცი არისო. გაუსინჯობით მომხდარიყო და თამაზა აბულაძე მიროტაძეს ტყუილათ გაეტანა. რამდენსამე წელიწადს ქვენატკოცას სახლებულიყო, მერე იქიდამ აყრილიყო და ბეჟან ბადრიშვილს მისლოდა. კარგა ხანს იმათან მდგარიყო. ახლა თარხნიანთ და ამირეჯიბს ამ აბულაძის შვილს ბერზე ლაპარაკი შეექმნათ. სარწმუნოს მოწმეებისაგან შევიტყვეთ, რომ აბულაძე თამაზა მიროტაძის სახლის კაცი არ ყოფილიყო და ტყუილათ მოეგონა. ახლა სამართლით აბულაძის თამაზას შვილი ბერი თარხნიშვილებს დარჩათ, ამისათვის რომ ჯავახეთიდამ ზაზას მოსლოდა, მკვიდრი ჯავახი იყო და ზაზას ყმობოდა, რადგან ზაზას ყმა და მამული თარხნიანთ საერთოდ ბატონისაგან წყალობით სჭირს, ეს აბულაძე ბერიც თარხნიანთ საერთო ყმა იქნება, სახლის კაცობაში თითონ მორიგდნენ“** *(დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. თბ., 1953, II., გვ. 70; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. ი. დოლიძის გამოცემა. თბ. 1972, გვ. 556).*

1769 წლის არზით ირკვევა, რომ ჯავახეთიდან ქართლში გადმოსახლებულა *დანდურიშვილების* ოჯახი, რომელიც თხუთმეტი ხიზანისაგან შედგებოდა. ჯავახეთიდან *დანდურიშვილების* ოთხი ძმა *ყორიასაულბაშს (როგორც ჩანს, თარხნიშვილ ზაზას – რ. თ.)* გადმოუყვანია. *დანდურიშვილებისათვის* ბატონის *(ე.ი. მეფის – რ.თ.)* წიგნი ჩაუტანია ყორიასაულბაშს ჯავახეთში, ოღონდ თათრის ქვეყნიდან გადმოდით და ვისაც გინდათ ყმად იმას დაუდექითო. *დანდურიშვილები* ყორიასალბაშთან მისულან, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ისინი სხვისთვის გადაუცია და ამის გამო, შეწუხებული *დანდურიშვილები* უკან აპირებენ გადასახლებას. ნაწყვეტი არზიდან: ***„ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს მონწყალეს ბატონს: ჩვენთვინ ჯავახეთს წიგნი გებოძებინათ და ფიცი გებძანათ, რომ ბატონის ოქმი მაქვს, თქვენ ოღომც გადმოდით თათრის ქვეყნიდამ, არავის თქვენთან საქმე არ აქვს, ვისაც ყმათ გინდათ იმასთან მიდით, რადგან თქვენი წიგნი მოგვივიდა, ისევ თქვენ გიახელით. თუ ისევ გაგვსცემდეთ, თქვენს გასამარჯვებლათ და თქვენი შვილების სადღეგრძელოთ ისევ წყალობას ვითხოვთ დასტურ გვიბოძოთ, ისევ იქაც წავიდეთ, რომ უსამართლობამ გაგვრეკა საქართველოდამ. იორამისა და ბერის ყმობა არ შეგვიძლია. თუ ხელშეკრულს მიგვსცემთ თხუთმეტ სულს ხიზანს პასუხი გაგვეც ღმერთის სამართალში. ჩვენ შენს უკეთესი ბატონი არ გვინდა საქართველოში, ღმერთმა ნურც მოგვცეს.“*** (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. თბ., 1953, II, გვ. 72).

ჯავახეთიდან ქართლში მოსახლეობის მიგრაციაა ასახული 1773 წლის ერთ არზაში („არზა მიცემული *იოსებ გლურჯიძის* მიერ *ერეკლე II*-სადმი“): ***„ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი მოსცეს გლურჯიძეს იოსებს. შარშან თქვენ რომ გორს ბრძანდებოდით, იმ ჟამად ელიზბარ მოლარეთ უხუცესს ხიზანი თავის მოყვრისას ერედვს ჰყუანდა. მიბძანა, თან მიახელ, ერედვიდან ხიზანი გორს მინდა მოვასხაო. ვიახელ თანა, იმ იქ ვახლდი. მოლარეთ ხუცის ყმისას ერთი ჯავახი კაცი იყო ვალსა სთხოვდა. ერთი წელიწადი იქ იყო ეს ჯავახი კაცი თურმე. ამ ჯავახმა ჩემი ბიჭები შეაგულიანა და ორი მოლარეთ ხუცის ცხენი და ჩემი ცხენი მოიტაცეს და წაასხეს.“*** (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. თბ., 1953, II, გვ. 86).

1776 წლის ერთ-ერთი განაჩენიდან ჩანს, რომ ქართლელი თავადები ჯავახეთიდან ძალით ყრიდნენ სოფლებს და ქართლში გადმოჰყავდათ: „ქ. ქალაქის მოურავს *ციციშვილს* *დავით* სარდალს *ავალიშვილის პეტრესთვის* ეჩივლა *ჩილინგდრიშვილებზე* და ამათი სამართალი ბედნიერს ხემწიფეს მათის მონის მდივანბეგისათვის ებძანა.

ჩვენ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ. მოურავი ასე ჩიოდა: ჩემი აზნაურშვილი *მეღვინეთხუციშვილი ფირან* ოთხმოცამდინ ჩემის კაცით პეტრე ავალიშვილთან იყო, **ჯავახეთიდამ ერთი სოფელი აჰყარესო, სულ *პეტრე ავალიშვილმა* დაისახლაო და რომელიც ჩემი ყმანი იყვნენ *ჩილინგდრიშვილებიო* ოთხი კომლი კაცი, არც ესენი დამანებაო.** ფირანიც სამართალში მოვიდა. ასე ამბობდა: „ხეობაში მე რომ ჯარით აველ, *პეტრე ავალიშვილი* იქ იყოო, მაშინვე იმ სოფელში კაცი გაგზავნაო, ჩვენც ჯარით წავედით, იმ სოფლიდამ კაცები ამოვიდნენო, ჩვენ რომ ჯარით გვნახეს, უმეტესად შეშინდნენ და უფრო ამ მიზეზით აიყარნენო. ჩვენ სხვა სოფლის დასაკარგავად გაგვგზავნა და თითონ იმათ წამოუძღვაო. უკან მდევარი გამოზდგომოდათ, ჩვენ იმ მდევარს მივადექით და ის მდევარიც ჩვენი მიზეზით მოიშალაო.

პეტრე ავალიშვილი ამას უპასუხებდა: იმ სოფლის კაცნი დიდი ხანი იყო შემოპირებულნი მყვანდნენ. შენ რომ ხეობაში ჯარით ამოხველ, დიდათ მეწყინა, კიდეც გიშალეთ, ჩვენთან ნუ წამოხვალო. არც თქვენს მოსვლაზე მე იმ სოფელში კაცი გამომიგზავნია, რომ თქვენით ისინი შემეშინებინოსო და არც თქვენს ჩემთან ყოფნაში იმ სოფლიდან კაცნი მოსულანო, რომ თქვენ ენახენით და თქვენით იმათ აყრის მიზეზი მისცემოდათო. ამაზე ამათმა ლაპარაკმა ბევრმა გაიარა. მართალია, უცხოს ქვეყნიდამ ვინც კაცს მოიყვანს, ბედნიერის ჭელმწიფის ბრძანება არის, რომ მომყვანისა იქნება ვისაც ყმა უნდა იყოს“ *(დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, თბ., 1953, გვ. 99).*

ერთი წლით ადრე, 1775 წელს ამ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნული აყრის ერთ-ერთ მონაწილეს **გიორგი ლომაურს** მოწმობის წიგნი მიუცია: „ქ. ქალაქის მოურავმა დავით (ე.ი. *დავით ციციშვილმა* – რ. თ.) მე, ლომაურს გიორგის ღმერთი და მეფის ერეკლეს მზე მაფიცა, ***პეტრე ავალიშვილმა* რომ მლაშის ხევს გლეხები აჰყარა, როგორ იყოო. ღმერთსა ვჰფიცავ მეფის ერეკლეს მზესა და ანტონი კათალიკოზის მადლსა, რომ ასე იყო.** *ციხისჯვარს* **რომ მივედით,** *პეტრე ავალიშვილი, გოგია ავალიშვილი* **და ჩვენ, ჯარი ქარელები იქ არ დაგვხვდნენ. სამი დღე მოუცადეთ, სანამდისინ ქარელები არ მოვიდნენ, ჩვენ არ დავიძარით. ქარელებსა და ბრეთელებს პირობა ჰქონდათ, უერთმანეთისოდ არ დაიძროდნენ. ქარელები რომ მოვიდნენ ჩვენთან, დიაღ გვიამა და წავედით. რომელსაც სოფელს პეტრე ჰყრიდა, ჯერ იქ მივედით სულ ჯარი ქარელებიცა და ჩვენცა. პეტრემ იმ სოფელს უთხრა: თუ არ აიყრებით, ეს ჯარი თქვენთვის მომიყვანიაო. ჯერ სოფელს არ გავსცილებოდით, იქავ სოფლის პირში ვიდეგით, რომ სოფელი ავჰყარეთ, გამოვაგზავნეთ** და ჩვენ მას უკან ორად გავიყავით: ქარელები, ლეკები, *გოგია ავალიშვილი* და ბრეთელები **ინდუსაზე** წავიდნენ, *როსტომ ხიზილბეგიშვილი, ლუარსამ მურმანიშვილი* და ვინცა ვინ ზემო ქართლელნი ვიყავით და ლიახვის კაცნი, **იდუმალაზე** წავედით. დილა რომ გათენდა, იქით ქარელებმა და იმათ დაჰკრეს და აქეთ ჩვენ დავჰკარით. ამ სოფლის აყრაზე და სოფლების დაკვრაზე ოშორიდამ მდევარი წამოსულიყო. იმ მდევარს უკანიდამ ჩვენ მოვადექით და ნამოვწიენით. ჩვენ ომი მოგვიხდა, მაგრამ შემოვუწიევეთ მდევარსა, ცოტა სროლაც მოხდა, გამოვიქეცით და მოვეწიენით *პეტრე ავალიშვილსა*. ერთი ქარელი კაციც მოკვდა იქა. ღვთის წინაშე ამ საქმის დამსწრე, მნახავი და მოწმე ვარ.“ *(დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, თბ., 1953, გვ. 100).*

ამგვარად, მეორე საბუთიდან ირკვევა, რომ **პეტრე ავალიშვილს** გლეხები *ჯავახეთის* სოფელ *მლაშისხევიდან (ამ სოფელში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით 12 ოჯახი ცხოვრობდა)* აუყრია. ამასთანავე, ქართლიდან გადასული ფეოდალი არა მარტო ჯავახეთის ერთ სოფელს ჰყრის და ამ სოფლის მკვიდრთ ქართლში ასახლებს, არამედ შეიარაღებული ხალხით თავს ესხმის სამცხის ორ სოფელს ინდუსასა და იდუმალას. როგორც ჩანს, ჯავახეთის სოფელი *მლაშისხევი* თავის დროზე *ავალიშვილების* საკუთრება იყო. ოსმალთა გამგებლობაში მოქცეულ ჯავახეთზე *ავალიშვილებს* ხელი აღარ მიუწვდებოდათ და ოდესღაც ამ სოფელში მოსახლე მათ კუთვნილ გლეხებს ისინი ხელს ადებდნენ და იძულებით, ძალით შიდა შიდა ქართლში გადმოასახლებენ. პირველი საბუთიდან ჩანს, რომ ჯავახეთიდან აყრილი გლეხები მთლიანად *ავალიშვილს* დაუსახლებია. მათ ნაწილზე კი კონკრეტულად *ჩილინგდრიშვილების* ოთხ კომლზე პრეტენზია ჰქონია ქალაქის მოურავ *დავით ციციშვილს*. აღნიშნული გლეხების აყრაში ხომ *ციციშვილების* ოთხმოცი კაცი მონაწილეობდა აზნაურ *ფირან მეღვინეთხუციშვილის* მეთაურობით. ირკვევა, რომ ჯავახები აყრასა და ქართლში გადასახლებას საერთოდ არ ფიქრობდნენ. მხოლოდ ქარელიდან გადასულმა ჯარმა შეაშინა და „უფრო ამ მიზეზით აიყარნენ“. *პეტრე ავალიშვილის* პასუხიდან ჩანს, რომ იმ **სოფლის გლეხები დიდი ხნის შეპირებულნი ყოფილან ქართლში გადმოსახლებაზე** და *ციციშვილი* ჯარით არ უნდა წამოსულიყო. *გიორგი ლომაურის* ჩვენებიდან კი ირკვევა, რომ ციციშვილის ჯარს ისინი სამი დღე ელოდნენ. ამავე დროს, ქართლელ ფეოდალებს დაქირავებული ყოლიათ სხვა ქართული სათავადოს მცხოვრებნი – „ლიახვის კაცნი“ და საქართველოში მოთარეშე ლეკები. სწორედ ამის გამო უნდა ყოფილიყო *მლაშისხევზე* აყრის შემდეგ *ინდუსაზე* და *იდუმალაზე* დასაკრავად წასვლა.

როგორც ჩანს, ქართველ ფეოდალთა მიერ ჯავახეთის ამა თუ იმ სოფლის მკვიდრთა აყრა და ქართლში გადმოსახლების ეს არც პირველი შემთხვევა იყო და არც უკანასკნელი. 1811 წლის ბოლოს რუისელები, ქარელელები და სხვები ყოფილან ჯავახეთში გადასული, რათა სოფელი *კოთელია* აეყარათ. ამის შესახებ ცნობა დაცულია *თეიმურაზ ბაგრატიონის* თხზულებაში: „მაშინ ქართველნი რუისით და ქარელით და სხვა წარსრულ იყვნენ ასაყრელად *კოთელიისა*, ვინადგან კოთელიელთა სნადდათ გადმოსახლებაᲲ ქართლად. სცნეს რა მათ (ე.ი. რუისელ-ქარელელებმა – რ.თ.) უკუნქცევაᲲ ტორმასოვისა (კოთელიელთა აყრა *ტორმასოვის ახალციხეში* ლაშქრობას დაემთხვა – რ.თ.), დაუტევეს *კოთელია* და უკუმოიქცნენ“ *(თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ლ. მიქიაშვილის გამოცემა. თბ. 1983, გვ. 78).*

გაგრძელება იქნება

იბეჭდება მცირედი შემოკლებით

ერთად დავწეროთ ჩვენი ისტორია

ჩნდება ბევრი პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის პრობლემა, როდესაც ვსაუბრობთ 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნებაზე საქართველოში. საკითხთა უმრავლესობა არ წყდება მხოლოდ ქვეყნის შიგნით, ამიტომ სერიოზულ დაფიქრებას, გადაწყვეტას მოითხოვს. არის პრობლემები, რომელთა გადაჭრა, ნაწილობრივ მაინც დაწყებულია. როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ნათელია – დღეს კიდევ არ არის გვიანი და არაფერი უშლის ხელს შეხვედრას, გულწრფელ დიალოგს იმ ადამიანებთან, რომლებიც საქართველოში სამშობლოს ეძებენ. ამას დიდი ფინანსები არ სჭირდება - ისტორიის (ოღონდ გაუყალბებელის, ნამდვილის) ცოდნა, მოსმენისა და აზრთა გაზიარების სურვილი, მზაობა და მოქალაქეობრივი აზროვნება ჰყოფნის. ეს საკმარისია იმისთვის, რომ თუნდაც დაპირისპირებული პოზიციის ადამიანები კონსტრუქციული კამათით გარკვეულ დასკვნებამდე მივიდნენ, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, როდესაც პოზიციის ჩამოყალიბება სწორედ შეხვედრებზე, ურთიერთობებსა და კონტაქტებზეა დამოკიდებული.

საქართველოს ნახვის, ქართველებთან შეხვედრის სურვილით, ჩამოვიდნენ 2017 წლის 27 იანვარს მაჰმადიან მესხთა შთამომავლები მესხეთში. დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, მათ ისტორიის გარდა, ამჯერად აერთიანებდათ პროფესია – ყველა სტუმარი მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებოდა. მესხეთს ეწვივნენ მასწავლებლები სხვადასხვა ქვეყნიდან – ყაზახეთიდან: მეირალი სულეიმანოვი (ინგლისური ენა), ნიზჰატ მამედოვი (ინგლისური ენა), შახმურატ მამლაევი (თურქული ენა), ელშად მურადოვი (ინგლისური ენა), შამილ მახმუდოვი (ექსკურსიამძღოლი), ელშად მურადოვი (ინგლისური ენა), თიმურ მამედოვი (ინგლისური ენა), იბრაამ კადიროვი (კომპიუტერული ტექნოლოგიები), აიდინ დურსუნოვი (ექსკურსიამძღოლი); აზერბაიჯანიდან: ალიხან ფაზულიევი (მათემატიკა), ჯავად ასადოვი (ინგლისური ენა), ჯავად ზაკიროვი (დაწყებითი კლასები), უზეირ ფაჰლულოვი (მათემატიკა), ჯავანშირ გაფუროვი (ფიზიკულტურა), ამირხან ალლადინოვი (მათემატიკა); ყირგიზეთიდან: რასულ მაჩაევი (ინგლისური ენა), ვესი უზატოვი (თურქული ენა), ისკანდარ კულიევი (ბიოლოგია), შაიბეკ ბელიალოვი (ელექტრონიკის სპეციალისტი), ისმაილ კასიმოვი (დაწყებითი კლასები); რუსეთიდან: რუსტამზონ მაკტიევი (ინგლისური ენა), იუნიუს მუზაფაროვი (ფიზიკა); თურქეთიდან: იაჰია ქემალოღლუ (რელიგიის კულტურა).

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა **იაჰია ქემალოღლუმ** აღნიშნა: *„ჩვენ, მასწავლებლებმა ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, გადავწყვიტეთ ჩამოსვლა საქართველოში, რათა მოგვენახულებინა ჩვენი ისტორიული სამშობლო. რატომ ჩამოვედით მაინც და მაინც მასწავლებლებთან ერთად? იმიტომ, რომ გვჯერა, ჩვენი მომავალი სწორედ მათ ხელშია“.* ბატონი იაჰია თურქეთში, სტამბოლის ერთ-ერთ სკოლაში, რელიგიურ კულტურასა და ეთიკას ასწავლის. ამავდროულად სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე ფილოსოფიის მიმართულებით. საქართველოში არაერთხელ ყოფილა, მაგრამ უშუალოდ სამცხე-ჯავახეთს, როგორც ისტორიულ სამშობლოს, პირველად ეწვია. ორდღიანი სტუმრობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეგრძნო და ეთქვა: *„ამჯერად ვაკვირდები, რომ სტერეოტიპი ნელ-ნელა ქრება, იგულისხმება სტერეოტიპი ჩვენს ხალხში ქართველების შესახებ და, პირიქით. ჩემს ისტორიულ სამშობლოში პირველად ვარ. ჩვენ ეს გვაბედნიერებს. გვინდა, თქვენთან ერთად, გავიზიაროთ საქართველო. გვიხარია, რომ ასეთი კარგი სამშობლო გვაქვს“.*

სტუმრები თურქეთის მიერ დაფინანსებული სპეციალური პროექტის ფარგლებში ეწვივნენ საქართველოს. პროექტის მიზანი იყო შეეკრიბათ მასწავლებლები (მესხთა შთამომავლები) სხვადასხვა ქვეყნიდან და მათთვის შეეთავაზებინათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ასეც მოხდა, მასწავლებლები სამი კვირის განმავლობაში გადაემზადნენ თავიანთ სპეციალობებში. პროექტის ხელმღვანელები ფიქრობენ, რომ ამ კურსებით დაეხმარნენ პედაგოგებს, მათ უფრო მეტი გაიგეს თავიანთ პროფესიაში, განვითარდნენ, აიმაღლეს უნარები. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ საქართველოში ამაზე ბევრი არავის უსაუბრია. ყველა ლაპარაკობდა პროექტის იმ ნაწილის განსაკუთრებულობაზე, რომელიც გულისხმობდა კურსების ბოლოს მასწავლებელთა ჩამოყვანას თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, რათა, როგორც არაერთგზის აღნიშნავდნენ, შთაგონებულიყვნენ თავიანთი წინაპრების მიწით და გასჩენოდათ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ მესხეთის მცხოვრებლებს.

„ამ პროგრამას აქვს სამი მთავარი მიზანი. პირველზე, რაც პროფესიულ განვითარებას ეხება, მოგახსენეთ. მეორე მიზანი იყო, რომ ჩვენი ხალხი, რომელიც ცხოვრობს სხვადასხვა ქვეყანაში, გაგვეერთიანებინა, დაგვეახლოებინა, რათა მეტი გაეგოთ ერთმანეთის შესახებ და, მესამე, რაც ძალიან მომწონს და განსაკუთრებით აღვნიშნავ - ჩვენი მასწავლებლები ჩამოსულიყვნენ საქართველოში და გაეცნოთ ჩვენი მომძე ხალხი, ქართველები. მინდა ისევ გავუსვა ხაზი, რომ ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ. სამწუხაროდ, დიდი ხნის, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, ჩვენს ხალხებს შორის არასწორი ურთიერთდამოკიდებულება იყო ჩანერგილი. იმისათვის, რომ ეს სტერეოტიპები დაიშალოს, საჭიროა ჩამოხვიდე ადგილზე, გაიცნო აქაურობა. ყოველ ჯერზე, როცა კი ეს ხალხები შეხვდებიან, დაახლოვდებიან, ერთმანეთი უფრო ძლიერად შეუყვარდებათ“, - ბატონი **იაჰია ქემალოღლუს** ამ სიტყვებში სითბოს, მადლიერებისა და კეთილი სურვილების გარდა არაფერი იკითხებოდა. დამხვდურებმაც სწორედ ასე გავიგეთ და ამიტომ უფრო მეტად დაგვაფიქრა ფრაზებმა: **„ჩვენი ხალხი“, „ჩვენი მოძმე ხალხი, ქართველები“, „ეს ხალხები რომ შეხვდებიან“.** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ხალხს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: **„1. ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად, ადამიანები; 2. მოსახლეობის ფართო მასა ზოგადად; 3. ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრები, ერთი ქვეყნის ან სახელმწიფოს მოსახლეობა ერთობლივად“** *(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი მე-8, 1964, გვ. 1325).* ლექსიკონის მოცემული განმარტებები როგორც არ უნდა გავიგოთ, დეპორტირებული მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი ხალხის ნაწილია. ვინ ვართ მოძმე ხალხები – დარჩენილი მესხები და გასახლებული მესხები? რატომ უნდა იქცნენ ძმები მოძმეებად, ხალხი ხალხებად?! დეპორტირებული მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინები ქართველ მეცნიერთა კვლევის საგანი იყო *(მ. ლომსაძე, ...)* და კვლევა დღესაც გრძელდება: *„ვიდრე ისინი (მაჰმადიანი მესხები - ხაზი ჩვენია) ცხოვრობდნენ მესხეთში, იერლი... უპირისპირდებოდა სხვა მაჰმადიან მოსახლეობას, მაგრამ როდესაც გავიდა დრო და მათი გადასახლებაში ყოფნა გაგრძელდა, ამ ტერმინმა გაიფართოვა თავისი მიშვნელობა. იერლი, ანუ ადგილობრივი, შეიძლება ეწოდოს არა მხოლოდ წარმოშობით ქართველს, არამედ ყველას, ვინც გასახლდა მესხეთიდან საერთოდ“ (მერაბ ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, 2009, გვ 111).* როგორც ჩანს, იმის საჭიროება, რომ გარკვეული ტერმინით გამოეკვეთათ საკუთარი იდენტობა, იგრძნობოდა საქართველოშიც და გადასახლების შემდეგაც. დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლების უმრავლესობამ დღესაც კარგად იცის, რომ ტერმინი **იერლი** აერთიანებდა მათ მესხობას, ქართველობას ნიშნავდა. მესხები დაიფანტნენ და აბსოლუტურად გასაგებია, რომ უცხოობაში გაჩნდა გამოთქმა – **„ჩვენი ხალხი“,** რომელიც მათ განარჩევდა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისაგან. „ჩვენი ხალხი“, ან „ხალხების“ ურთიერთობა გასაგებია, ყველგან, გარდა საქართველოსი და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო მათი სამშობლოა. ჩვენი ქვეყანა სამშობლოდ იქცა მართლაც ბევრი მოძმე ხალხისთვის, ეს ჩვენი სიმდიდრე და მრავალფეროვნებაა. ჩვენ მოძმე ხალხებთან ერთად ვაძლიერებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მესხეთიდან გასახლებული მოსახლეობა მათ რიგში ვერ ჩადგება. ისინი ქართველები არიან მოდგმით, გენით. ჩვენ ერთი ხალხი ვართ და როგორც ჩანს, საბოლოოდ ერთმანეთის იქით გზა არა გვაქვს.

– „მე ვარ აზატ დადაევი, პროექტის ხელმძღვანელის თანაშემწე. ვსწავლობ დოქტორანტურაში ისტორიის მიმართულებით, ქალაქ კონში, თურქეთში. თავს ვალდებულად ვთვლით და ავიღეთ პასუხიმგებლობა, გადმოგცეთ დიდი მოკითხვები შორიდან, მათ შორის ბატონი რეშადისა და ბატონი აჰმედ თურანისა. გზაზე ბატონ იაჰიას ვეუბნებოდი, თუ თქვენ ნახავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მიხვდებით, როგორ გავს ის ბატონ რეშადს-მეთქი. ეს ადასტურებს, რომ ჩვენ ვართ შვილები ერთი გეოგრაფიული არეალის, ერთი სამშობლოსი. პირადად მინდა განსაკუთრებული მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ თქვენ აზერბაიჯანიდან და სხვა ქვეყნებიდანაც იღებთ სტუდენტებს და ასწავლით“, – ასე წარუდგა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს ერთ-ერთი სტუმარი. როგორც საუბრიდან გაირკვა, პროექტის მონაწილეები სამ ჯგუფად გაიყვნენ და ქართული სოფლები მოინახულეს. ერთი ნაწილი იყო ბოლაჯურში, ზანავში, ფლატეში, ზარზმაში, ენთელში, ვარხანში. მეორე ჯგუფი – ოკამში, ხერთვისში, ახალშენში, კიდევ ერთი ჯგუფი – ანისა და წირესაკენ გაემართა. გასაგები იყო, როგორ შეირჩა მარშრუტი ან როგორ გადანაწილდნენ სოფლების მიხედვით:

– „ვარ თურქული ენის მასწავლებელი. ვსწავლობდი ანკარაში, ახლა თურქულს ვასწავლი ყირგიზეთში. ისე მოხდა, რომ გამოგვიჩნდა შანსი, ჩამოვსულიყავით ისტორიულ სამშობლოში და მოგვენახულებინა სოფლები, ჩვენი წინაპრების სახლები, რადგან 72 წლის განმავლობაში ბებიები, პაპები გვიყვებოდნენ, როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში. პაპამ ქართული იცოდა. ამ მიწებისადმი სიყვარული ჩვენში ბავშვობიდან ინერგებოდა. ყოველთვის ვოცნებობდი, ისე მომხდარიყო, რომ მოვხვედრილიყავი აქ და ჩემი თვალით მენახა. ეს პირველი ვიზიტია, ამიტომ ძალიან მიხარია, ბედნიერი ვარ. ამაღლებული სულიერი მდგომარეობა მაქვს, რადგან ვნახე ჩემი მიწა, მომეწონა ყველაფერი. ადგილობრივები რომ გვიყურებდნენ, ისე გვხვდებოდნენ, თითქოს უკვე ნაცნობი ვიყავით აქ, თითქოს ისინი გვიცნობდნენ“ – აღნიშნა ბატონმა **ვესი უზატოვმა.** მასწავლებლებს ემოციები ჯერ კიდევ არ განელებოდათ, ვიდრე რექტორს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, ბატონმა მერაბმა რამდენიმე წიგნი გადაშალა და გვერდით მჯდომ ბატონ იაჰია ოღლუსს მიმართა: **„თქვენ ბოლაჯურიდან ხართ? მოდით და თვითონ ნახეთ, ვინ იყავით“.** Pპროფესორმა გადაშალა 1886 წელს რუსების მიერ ჩატარებული აღწერის შედეგები „СводьстатистическихЪданныхЪонаселениизакавказскагокрая, (1886), ТифлисЪ, 1893“ სწორედ იმ გვერდზე, რომელზეც ბოლაჯურის მოსახლეობა იყო აღწერილი. მიმართვა ბატონ იაჰიას ეხებოდა, მაგრამ წიგნთან რამდენიმე ადამიანი გაჩნდა. ბატონი მერაბის კითხვაზე: რას წერენ, ვინ ცხოვრობდა ბოლაჯურში, ერთ-ერთმა მათგანმა ხმამაღლა წაიკითხა – **„ქართველები“!** მერე იყო რამდენიმეწუთიანი დუმილი. ჩვენთვის ძნელია ამ ემოციის გადმოცემა, დუმილს რომ ახლდა. ისევ ბატონმა იაჰიამ იკითხა: **„ზაზალოში რა ხდება, დედის მხარე ზაზალოდან მყავდაო“.** აღმოჩნდა, რომ წიგნში ზაზალოს მცხოვრებთაგან ნახევარს ქართველი ეწერა, ნახევარს – თათარი. სტუმრები ბავშვური აღტკინებით ეძებდნენ თავიანთი სოფლების მონაცემებს, დედის მხრიდან, მამის მხრიდან, ფურცლავდნენ, კითხულობდნენ..... რამდენჯერმე უბრუნდებოდნენ წაკითხულს და სულაც არ გაგვკვირვებია მოზღვავებული კითხვები: **„გვაინტერესებს, მაშინ რატომ გაგვასახლეს, რატომ ვერ დაგვიცვა საქართველოს ხელისუფლებამ? თუ მხოლოდ სარწმუნოების მიხედვით შეირჩა გადასასახლებელი მოსახლეობა, რატომ არ გაასახლეს საქართველოდან აჭარლებიც? ან ვინ არიან თათრები, რომელთა შეხახებაც წიგნიდან ამოვიკითხეთ?“.** ვიღაცამ ისიც გაიხსენა, რომ თათრებს საქართველოშივე უწოდებდნენ მათ წინაპრებს. აინტერესებდათ როდის, ვინ ააშენა ახალციხის ციხის ტერიტორიაზე მეჩეთი და თუ არსებობდა ამის შესახებ საარქივო მასალები. სტუმრების მიერ დასმული არცერთი კითხვა არ იყო არც უცხო, არც მოულოდნელი და, რაც მთავარია, მიუღებელი. ბატონი მერაბი ამ საკითხებს თავის ნაშრომებში არაერთხელ შეხებია, ამიტომ მშვიდად განუმარტავდა სტუმრებს, რომ თათარი არ ნიშნავდა ეროვნებას, გამაჰმადიანებულ მესხს ეძახდნენ თათარს. რომ ქართველი ჯერ იქცა მაჰმადიან ქართველად, შემდეგ თათრად, შემდეგ აზერბაიჯანელად ან, თურქად. განმარტავდა, რატომ ვერ შეჩერდა დეპორტაციის პროცესი. გაიხსენა 1918-1919 წლების სერიოზული პროვოკაციები, 1937 წელს საბჭოთა რეჟიმის მიერ ქართველი ინტელიგენციის ყველაზე მაღალი წრეების დახვრეტა და განადგურება. ისაუბრა რუსულ აგრესიაზე, მე-20 საუკუნეში რუსეთთან სამჯერ სერიოზულ დაპირისპირებაზე. სტუმრებმა ფაიგ ყიფიანიც ახსენეს და მისი შეფასებითაც დაინტერესდნენ. პროფესორმა უამბო უდის ეკლესიის წარწერაზე, რომელიც გვამცნობს, როგორ აშენებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას ერთად მუსლიმი და კათოლიკე ქართველები.

რელიგიური სხვადასხვაობის მიუხედავად, თანაცხოვრება მშვიდი რომ იყო, ბებიის ნაამბობიდან გაიხსენა ბატონმა იაჰიამ, რომლის წინაპრებიც საქართველოდან უზბეკეთში მოხვდნენ. ახსოვდა ძირითადად ახლობლები მამის მხრიდან. რაც ყველაზე საინტერესო იყო, ჯერ კიდევ ცოცხალი აღმოჩნდა მისი ბებია,

→

გამოხმაურება

„საქართველოვ, შენ ვინ მოგაკა, შვილი დასაკარგავი“?!...

„ღრმად მწამს, რომ ქართველი ვარ. თუ ღმერთმა ადამიანი მიწისგან შექმნა, მაშინ ჩვენ მესხეთის მიწისგან ვართ შექმნილი. სხვაგან ფუფუნებაში ცხოვრებას ჩემი სოფლის - ტობის ნანგრევებს ვარჩევ... მე ვიპოვე ის ადგილი, სადაც ჩვენი სახლი იყო. ყური დავადე მიწას. მაგმური სილრმიდან მომესმა: „ეი! იასონ! სად ხარ ამდენ ხანს! იცოდე, იასონ, მე კი არა ვარ შენი, შენ ხარ ჩემი! ვფიცავ, მე ეს გავიგონე“...

ეს სიტყვები ეკუთვნის რეპატრირებულ მესხ **იასონ ვარსკნელიძეს.**

ბატონო რედაქტორო!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 2017 წლის N1 - ში გამოქვეყნდა პროფესორ **მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძის** წერილი *„ვუთხრათ არა, ტერმინს – თურქი მესხი, არსებობს მხოლოდ – მესხი!!! ქართველი!!!“*

პროფ. მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძის წერილში ახალი შემართებით არის დასმული ბოლო წლებში მინელებული 1944 წელს მესხების დეპორტაციის საკითხი: მე, პირადად, ამ თემის მიმართ განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება მაქვს. მესხეთი ჩემი დედულეთია, დედაჩემი ხუციშვილის ქალი გახლდათ. მაშინ ჩემი ახლობლებიც გადაასახლეს შუა აზიაში. როგორც ამ ჯოჯოხეთგამოვლილი ცოცხლად გადარჩენილები ყვებიან, ისინი საქონლის გადასაზიდი ვაგონებით წაუყვანიათ და საშინელ, არაადამიანურ პირობებში – სიცივის, უწყლობის, შიმშილობის, ავადმყოფობისა და დიდი დამცირების გადატანა მოუხდათ თურმე. აქ უმძიმეს პირობებს ბევრმა ვერ გაუძლო და დაიხოცა. ეს ქართველი ხალხის ისტორიის ტრაგიკული ნაწილია, რომლის დავიწყება არ ეგების.

მაინც ვინ არის ეს ხალხი, სტალინმა რომ მოიძულა და ხელის ერთი მოსმით გადაასახლა შუა აზიაში? ესენი არიან მესხები – ქართველები, რომელთაც მაჰმადიანობა ძალით მიაღებინეს. თუმცა, მართალია, უმეტესმა ნაწილმა გარეგნულად მიიღო მაჰმადიანობა, ფარულად კი ქრისტიანულ რელიგიურ წესს ასრულებდა და დღესასწაულებსაც აღნიშნავდნენ. ამის შესახებ წერენ – **შ.ლომსაძე, მ.ბერიძე, თ.იველაშვილი, რ. ანდღულაძე** და სხვ.

როცა გენერალმა **პასკევიჩმა** ახალციხე აიღო (1828 წ.) და ოსმალოები განდევნა, სამცხე-საათაბაგო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ამ დროს გამაჰმადიანებულმა მესხებმა რუსეთის მთავრობას მიმართეს თხოვნით, რომ მათ სურდათ ქრისტიანობას დაბრუნებოდნენ, მაგრამ უარი მიიღეს. რუსის მთავრობამ აიძულა ეს ძირძველი ქართველები, მიეტოვებინათ მშობლიური მხარე და აქედან წასულიყვნენ. მაშინ ბევრი მესხი გადავიდა იმერეთსა და ქართლში, ზოგიერთი კი თურქეთს გაიხიზნა.

მესხებს არც საბჭოთა მთავრობამ დააყარა ხეირი. ის ხელისუფლებაც მათ ავი დედამთილივით მოექცა. იმის მაგიერ, რომ ქართული სკოლები გაეხსნათ, მათ უფრო დააშორეს თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს. მესხთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაინც შეინარჩუნეს და არ დაივიწყეს თავიანთი ქართული წარმომავლობა, მაგრამ რა, ბოლოს, სულაც, შუა აზიაში გადაასახლეს და საქართველოში ჩამოსახლების უფლება ჩამოართვეს. მათში საქართველოს ხსოვნა იმდენად ძლიერი იყო, რომ არალეგალურად მაინც ჩამოდიოდნენ მშობლიურ მხარეში და შორიახლოდან ესიყვარულებოდნენ. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს ოჯახში სტუმრად ჩამოსული **თორომან მარინაშვილი, ყურბანოვი, ჯავახიშვილი, იუსუფოვი, ნებიერიძე** და სხვები, რომელთა გვარები მეხსიერებამ აღარ შემოინახა.

როგორც პროფ. მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე აღნიშნავს – *„1999 წელს დაარსებულა დეპორტირებული მესხების და, ასევე, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ორგანიზაცია „ხსნა“. ამ ორგანიზაციის წევრებმა ღიად განაცხადეს – ეს ორგანიზაცია ორიენტირებულია დეპორტირებული მესხები დაუბრუნდეს საკუთარ ფესვებს. ისინი უნდა დაბრუნდნენ მესხეთში მესხებად, საქართველოში – ქართველებად... როგორც წესი, სიმართლე ერთია, სწორედ ამ სიმართლის აღიარება მიიჩნევა „ქართულ ორიანტაციად“.*

სამწუხაროდ, სწორედ ამ „ქართული ორიენტაციის“ გამოა შექმნილი წინააღმდეგობა ორგანიზაცია „ხსნის“ მიმართ და კიდევ უფრო გულსატკენი წინააღმდეგობები შეხვედრია მარტო საქართველოს გარეთ კი არა, საქართველოს შიგნითაც. საქართველოს არცერთ მთავრობას დღემდე არ გამოუჩენია ყურადღება, ქმედითი ხელშეწყობა და დახმარება ამ ორგანიზაციისათვის.

ორგანიზაციას არც ახალციხეში ჰქონია თანაგრძნობა და ხელშეწყობა. თურმე, საოფისე ფართიც ვერ გამოიძებნა, ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. არა და, „ხსნის“ თავმჯდომარე **სანდრო ხოზრევანიძე** გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისთვის“ (2017 წლის N2) მიცემულ ინტერვიუში ამბობს: *„1957 წელს უზბეკეთიდან აზერბაიჯანში მხოლოდ ქართული ორიენტაციის მესხები გადმოსახლდნენ (30 000) იმ მიზნით, რომ საქართველოში დაბრუნებას უფრო იოლად შეძლებდნენ, მაგრამ აქაც უმტყუნათ ბედმა, მესხებს პასპორტში აზერბაიჯანელი ეწერათ, აჭარლებს – თურქები. ერთი სიტყვით, საბჭოთა უშიშროება ყოველნაირად ცდილობდა მესხები „ტიურკებად“ ექციათ, ყოველივე ქართული მათში ამოეძირკვათ და საქართველოში დაბრუნების სურვილი სამუდამოდ ჩაეკლათ“.* აი რას ამბობს აქვე სანდრო ხოზრევანიძე: *„თურქული ორიენტაციის ორგანიზაცია „ვათანი“ უშიშროებიდან იმართებოდა და მას მხარს უჭერდნენ. რა იყო მათი მთავარი მიზანი იცით? მესხეთიდან გასახლებულნი გათურქებულიყვნენ და ადგილზე დარჩენილიყვნენ. ამ აზრზე იყო საქართველოს უშიშროება. მათ უპირველეს დავალებას (მოსკოვიდან) წარმოადგენდა ამ ხალხის გათურქება. მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა ამაზე. ყველა, საქართველოშიც კი, „ვათანს“ კარგად ღებულობდა, „ხსნას“ პატივს არ სცემდნენ და ატყუებდნენ... „ვათანის“ ხალხი რომ შემოდიოდა საქართველოში, სახელმწიფოს ხარჯზე საუკეთესო სასტუმროებში ათავსებდნენ, „ხსნის“ ხალხს კი თვითონ, თავიანთი სახსრებით, ქალაქის განაპირას (გლდანსა და სხვა უბნებში) უნდა ეშოვნათ ღამის გასათევი. ხელს კი არ უწყობდნენ, ყველანაირად უშლიდნენ, რომ ადამიანები დაღლილიყვნენ და სამშობლოში დაბრუნების ბრძოლისთვის თავი გაენებებინათ“.*

ასე გულნატკენი რომ ლაპარაკობს სანდრო ხოზრევანიძე, გასაგებია, სამშობლო კუთხეს და კერას მოწყვეტილ მესხებს საბჭოთა ხელისუფლება რომ ვერაგულად მოექცა, ესეც ცნობილია, მაგრამ მე შემძრა სანდრო ხოზრევანიძის შემდგომმა სიტყვებმა: *„სამწუხარო ის არის, რომ დღემდეც ასეა – ზუსტად იგივე კეთდება (როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს. ბ.ა.). „ვათანის“ თავმჯდომარეს უმაღლეს ხელისუფლებასთან უწყობენ შეხვედრებს, თან არაერთხელ. რამდენჯერმე არაოფიციალურად მივწერეთ, მესხებს ხელისუფლებასთან გვინდა შეხვედრა მოქალაქეობის, გვარის დაბრუნების თაობაზე, თუმცა რეაგირება არ მოჰყოლია“.*

ეს ჩემი მცირე გამოხმაურება პროფ. მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძის საჭირო და დროულ წერილზე გვსურს, დავასრულოთ სანდრო ხოზრევანიძის სიტყვებით: *„ეტყობა სახელმწიფოს ურჩევნია, რომ ჩვენ ეროვნულ უმცირესობად გამოგვაცხადოს, ეტყობა, მეტ სარგებელს და დაფინანსებას ელოდებიან ევროპიდან, თორემ სხვა მიზეზს ამის ასახსნელად ვერ ვპოულობ...რა თურქი-მესხები, ჩვენ, ქართველები ვართ“!*

ბონდო არველაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ერთად დავწეროთ ჩვენი ისტორია

←

რომელიც ახლა თურქეთში ცხოვრობს. ფერლანის მოვლენების შემდეგ ოჯახი აზერბაიჯანში გადასულა, იქიდან კი, საბოლოოდ, თურქეთში გადასახლებულან: – *„ბებიას ძალიან კარგად ახსოვს საქართველო. ის ბოლაჯურიდან არის და ბევრს მიყვება ბოლაჯურზე. მას არასოდეს უსაუბრია დაპირისპირებასა და პრობლემებზე. იმ ადამიანებს, რომლებთანაც ისინი ცხოვრობდნენ, იგონებს სითბოთი. ისიც თვლის, რომ საბჭოთა კავშირამდე პრობლემები არ ყოფილა და მხოლოდ შემდეგ გაჩნდა. დღესაც იცის უზბეკური, თურქული და ქართული ენები“.* ბატონმა მერაბმა წარმოშობით ბოლაჯურელ სტუმარს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ბოლაჯურელთა სახელები ამოუკითხა. გულწრფელი საუბარი გაგრძელდა. არავინ, არც სტუმართაგან და არ მასპინძელთაგან არაფერს უმტკიცებდა ერთმანეთს, აკვიატებულ აზრებს არ ახვევდა თავს მოსაუბრეს. ალბათ, ამიტომ, ისეთი კითხვებიც დაისვა, ამ შეხვედრაზე დაგეგმილი სულაც რომ არ იყო. როგორც აღმოჩნდა, სტუმრებს განსხვავებული ინფორმაცია ჰქონდათ **„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“** შესახებ. ორიგინალი ანკარაში ინახება და სახელწოდებაც სხვანაირი აქვს დავთარსო, გამოითქვა ასეთი შეხედულებაც. აქაც მოუხდა რექტორს განმარტებების მიცემა. რაც ყველაზე მთავარი იყო, ყველამ დაინახა, რომ არ შეიძლება კითხვები დავსვათ და მხოლოდ ცალსახა პასუხებს დავჯერდეთ. – *„ეს საკითხები ღიად უნდა დავსვათ და ვუპასუხოთ. შევისწავლოთ სერგი ჯიქიას და სხვა ქართველ თუ თურქ მეცნიერთა ნაშრომები. ქართული ენა არ არის ძნელი. ამაზე უნდა ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ ერთად. დასხედით და შეისწავლეთ“* – ასეთი იყო რექტორის შემოთავაზება.

საზღვარგარეთიდან ჩამოსულებს შეხვედრაზე ახლდა ბატონი მამუკა ხუციშვილი, ვაჟთან, საქართველოში დაბადებულ დავითთან ერთად. დეპორტირებულ მესხთა შთამომავალმა თვითონ გაიარა სამშობლოში დაბრუნების გზა, შეიძლება რთულად, პრობლემებით, მაგრამ წარმატებულად. სწორედ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნა: – *„ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: გარეშე ადამიანები კი არ უნდა სწავლობდნენ, ჩვენგან უნდა იყვნენ ისტორიკოსები, ჩვენებმა თვითონ უნდა შეისწავლონ ისტორია. ჩვენს ისტორიას ყოველთვის წერენ სხვაგან და სხვები. ბოლომდე უნდა ჩავულრმავდეთ ამ საკითხებს. დოკუმენტები აქაც უნდა ინახოს, საქართველოში და სხვაგანაც. მე ვეძებდი ვალელების ფესვებს და თვითონ დავრწმუნდი: ერთი ძმა ქრისტიანი იყო, მეორე მუსლიმი, ეს ფაქტია! ხმამაღლა დღეს არცერთი მხარე არ აღიარებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი მაინც ურთიერთობენ ერთმანეთთან. ამიტომ ქვეყნის შიგნით თვითონ დალაგდება ყველაფერი. მთავარია, ისტორია ფუნდამენტურად შევისწავლოთ ჩვენ, მესხებმა“.*

უნივერსიტეტში შეხვედრა ჩამოსულ სტუმრებს ალბათ დიდხანს დაამახსოვ-რდებათ. ეს იყო ადგილი, სადაც მათ უსმენდნენ, მათ აზრს ანგარიშს უწევდნენ, სადაც მათ კითხვებს პასუხობდნენ, სადაც მათი ესმოდათ მაშინაც კი, თუ გამოთქმულ აზრს არ ეთანხმებოდნენ. თურმე რამდენი გვქონია ერთმანეთთან საკითხავი, რამდენი გვქონია ასახსნელი, რამდენი გასარკვევი და რამდენი საერთო. ეს კარგად იგრძნო ორივე მხარემ და სტუმრებმა აღნიშნეს: – *„საბოლოო სიტყვას იტყვიან ისტორიკოსები. რომელ ხალხს მივეკუთვნებით, ეს უნდა გადაწყდეს შემდეგ. ეს თემა გახსნილია დიალოგისთვის. არსებობს ხალხი, რომელიც გაასახლეს აქედან. არიან დაზარალებულები და ეს უნდა გაიაზროს ყველამ. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით, არის ის, რომ ჩვენ აქედან გაგვასახლეს უსამართლოდ“.* შეიძლება არც ამ აზრს დავეთანხმოთ ბოლომდე, მაგრამ ამ სიტყვებში სიმართლის გაგების სურვილი ნამდვილად იკითხება, იკითხება პერსპექტივისადმი, მიმავლისადმი სწრაფვა. მათ ტკივილი და სამშობლოში უკეთესად ცხოვრების მოლოდინი ალაპარაკებდათ: – *„უახლესი ისტორია არის დამადასტურებელი იმისა, რომ ქვეყნებში, სადაც ვცხოვრობთ, თუკი რამე პოლიტიკური ცვლილებები ან ძვრებია, პირდაპირ აისახება ჩვენს ხალხზე და, რაც სამწუხაროა, უარყოფითად. ვიდრე დავადასტურებთ, რომელ ხალხს და ეროვნებას განვეკუთვნებით, ჩვენ არასამართლიანი გადასახლების მსხვერპლნი ვართ“.*

შეხვედრას პირველ დღეს სტუმართა ნაწილი ესწრებოდა, დელეგაცია სრული შემადგენლობით უნივერსიტეტს მეორე დღეს ეწვია. მოინახულეს ქართული ენის პროგრამის მსმენელები, აზერბაიჯანიდან ჩამოსული მესხები. ქალბატონი ნათელა ბერიძის ლექციის რამდენიმე წუთი სტუმრებთან შეხვედრას დაეთმო. ბავშვებმა თავი მოიწონეს მცირე დროში ნასწავლი ქართულით. მეორე დღეს ძირითადად საუბარი გაიმართა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებზე, სწავლის შესაძლებლობებზე, პირობებზე, დასაქმების პერსპექტივებზე. – *„რაც დღემდე მსმენია, რაც ვიცი გადმოცემებით, ჩვენი წინაპრები ვერ მოდიოდნენ ისტორიულ სამშობლოში და ვერ ნახულობდნენ თავიანთ მიწებს. ახლა, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდა, თავად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. დღეს მშვიდად შეიძლება მოვინახულოთ ჩვენი სამშობლო. ვხედავთ, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მშვიდად სწავლა. საქართველოს სახელმწიფოს ვუყურებ, როგორც ქვეყანას, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მესხები, რომლებიც გადაასახლეს სხვადასხვა ქვეყანაში, 70 წლის განმავლობაში არავისთვის პრობლემას არ წარმოადგენდნენ. პირიქით, ეს ხალხი ყოველთვის ხელს უწყობდა იმ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას, სადაც ცხოვრობდნენ. ამიტომ მჯერა, რომ ადგილობრივი მთავრობა ხელს შეუწყობს იმას, რომ ჩვენ ვიცხოვროთ ერთად,* – ბატონი იაჰიას ეს სიტყვები სტუმართა საერთო სულისკვეთებას გამოხატავდა.

– **მოდით, ბატონებო, ენა ვისწავლოთ, რომ ქართულად ვილაპარაკოთ. ნებისმიერი ქვეყანა მოქალაქეობას ანიჭებს სახელმწიფო ენის მცოდნეს. უნივერსიტეტში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ ქართულს დაეუფლოთ,** – ასეთი იყო უნივერსიტეტის შეთავაზება.

მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში



„მუზეუმს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც გიმნაზიას... ან ქართულ თეატრს და რამდენიმე სკოლას. მისი მნიშვნელობა და სარგებლობა უხმო და უჩინარია, ვითარცა სარგებლობა თეატრისა, მხატვრობისა, მუსიკისა, ლიტერატურისა, მაგრამ იმათთვის, ვისაც კიდევ სწამს ჩვენი ეროვნული სიცოცხლის უნარი და ჩვენი მომავალი, იგი ხილულიც არის, ასაზომიც და გასაზომიც.“

მიხეილ ჯავახიშვილი

მესხეთის სიძველეთა სავანე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის სამხარეო მუზეუმის დაარსებიდან 80 და მხარეში პირველი სამუზეუმო უჯრედის – საოჯახო მუზეუმის შექმნიდან 140 წლის საიუბილეოდ

სამუზეუმო საქმიანობის ისტორიამ საქართველოში XIX-XX საუკუნეებში სიძველეთა აღრიცხვის, მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით განსაკუთრებული სახე მიიღო. ამ თვალსაზრისით დედაქალაქთან ერთად საქართველოს რეგიონებშიც გაიშალა მუშაობა, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის მხარეშიც; მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მრავალჭირნახული მესხეთისთვის XIX საუკუნე მეტად მღელვარე და კატაკლიზმებით სავსე პერიოდს განეკუთვნება, რამაც მკვეთრად შეცვალა მხარის ეკონომიკური და სოციალური პირობები. გაპარტახდა და დიდად შემცირდა გლეხი კაცის სარჩო-საბადებელი... – ვკითხულობთ მუზეუმის ფონდებში დაცულ დოკუმენტებში. მესხეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, პროფ. **შოთა ლომსაძე** კი განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს ამ პროცესებს და ამბობს: ***„დაპყრობილ ქვეყნებში თანდათან მინელდა და ჩაკვდა ის დიდი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რასაც აქ, სახელგანთქმული მონასტრები ეწეოდნენ. უქმდებოდა საეპისკოპოსო კათედრალები და დავიწყებას ეძლეოდა მესხთა კულტურულ-შემოქმედებითი ტრადიციები.“*** აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებულ რეჟიმს ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად წინ აღუდგნენ საეკლესიო მოღვაწენი: **მ. პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე, ნიკოლოზ ასათიანი, მიხეილ თამარაშვილი, ვასილ გამრეკელი, კონსტანტინე გვარამაძე** და სხვანი.

ივანე გვარამაძე სასულიერო და საერო საქმიანობასთან ერთად დიდ ყურადღებას იჩენდა მესხეთის მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ, რომელიც ასე უხვად იყო წარმოდგენილი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე.

ამდენად, მის მიერ მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძე, ჯერ კიდევ ყმაწვილობაში, ხშირად მოგზაურობდა მესხეთის მხარეებში – სამცხეში, ჯავახეთში, აჭარასა და ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე. სწორედ ამ პერიოდში ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად აგროვებდა არქეოლოგიურ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ მასალებს. ამასთანავე, დიდ ყურადღებას აქცევდა ნუმიზმატიკურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებს. შესაძლებლობის ფარგლებში იძენდა ხელნაწერ წიგნებს, ცხოველთა ნაშთებს, ძველ სამკაულებს, საბეჭავებსა და სხვადასხვა ნივთებს, მათ შორის: – ქვის, ბრინჯაოს, რკინის იარაღებს, ჰერბარიუმებს, გეოლოგიურ კოლექციებს, რომელიც თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონია მოთავსებული. შეგროვილი მასალების გამოყენებით იგი 1877 წელს ხსნის საოჯახო მუზეუმს. აღნიშნულის შესახებ მისი ვაჟი – კონსტანტინე წერს: *„მისი კაბინეტი სწორედ ერთგვარ იმ დროის საუცხოო მუზეუმს შეადგენდა, რომლის სანახავად და გასაცნობად ბევრი მეცნიერი, ისტორიკოსი და უცხოეთის ტურისტები ესტუმრებოდნენ ხოლმე.“* სტუმრებს შორის ასახელებს მოსკოვის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარეს – **გენერალ კომაროვს** (1882წ.). უფრო ადრე, მისი სტუმარი ყოფილა ქალბატონი **უვაროვისა,** ხოლო 1910 წელს – ლონდონის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრი, მსოფლიო მოგზაური **პრაისი...**

როგორც ვხედავთ, სამცხე-ჯავახეთში სამუზეუმო საქმიანობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი სათავეს XIX საუკუნის 70-იან წლებში იღებს, როცა „ვინმე მესხის“ სახელით ცნობილი გამოჩენილი მოღვაწე **ივანე გვარამაძე** მისივე ხელით შეგროვილი ექსპონატებით აწყობს საოჯახო მუზეუმს. *„ეს ექსპონატები ეკუთვნოდა ჩემ ბებიას, ანა ბეგ ბეგიევნას, ... ეს ... ეს ... ეს

ჟურნალი, რომლის გავრცელების არეალი საქართველოს ფარგლებს გასცდება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო თუ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ინფორმაციები არაერთხელ

მიგვიწოდებია ფართო მკითხველისათვის. უნივერსიტეტს რომ უდიდესი დამსახურება აქვს მხარის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ ინტელექტუალური განვითარების საქმეში, არახალია. თითქმის არაა სამცხე-ჯავახეთში არცერთი სფერო, სადაც მათი კურსდამთავრებულები არ მოღვაწეობდნენ. სამეცნიერო მუშაობის თვალსაზრისით რომ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ გამორჩეულ უნივერსიტეტად იქცა, ამაზე ბევრი ფაქტორი და საერთაშორისო დონის ღონისძიებებში მათი მონაწილეობა და სერტიფიკატებიც მეტყველებენ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი სამეცნიერო საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი ახლახან კიდევ ერთხელ გამოიწვია ქ. თბილისში, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში სამეცნიერო ჟურნალის **„გულანის“** წარდგინებამ.

ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო – სააქტო დარბაზი რესპუბლიკის ელიტარული სამეცნიერო საზოგადოებისა და უნივერსიტეტის გულშემატკივარებს ვერ იტევდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** ძირეულად მიმოიხილა ჟურნალ „გულანის“ მუშაობის ძირითადი ასპექტები, ისაუბრა იმ ადამიანების ღვაწლსა და თავდადებაზე, რომლებმაც ლომის წილი შეიტანეს მისი გამოცემის საქმეში.

სიტყვაში გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** საქართველოს პარლამენტის წევრი, პროფესორი **გუგული მაღრაძე,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თამაზ მარსაგიშვილი,** თსუ-ის რექტორის მოადგილე **მიხეილ ჩხენკელი,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ჯანო აფაქიძე,** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გია ალიბეგაშვილი,** ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში **გიორგი კოპაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბონდო არველაძე,** აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული,** პროფესორები **იზა ჩანტლაძე, მარინა ბერიძე, ირმა კეცხოველი, ტარიელ ფუტკარაძე, პაატა ცხადაია,** მწერალი **ზელიმხან მაღრაძე** და სხვები.

გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „გულანი“ საქართველოს მასშტაბით არამარტო პოპულარული სამეცნიერო ჟურნალია, არამედ იგი საერთაშორისო სტანდარტებს სრულებით აკმაყოფილებს და საჭიროა მისი პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით, აუცილებელია, რომ იგი ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, რათა ხელმისაწვდომი გახდეს როგორც უცხოელი მკვლევარებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც. ამ მხრივ დიდი მხარდაჭერა გამოხატა თსუ-ის სახელით ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა.

თითოეულმა გამომსვლელმა განსაკუთრებული შეფასება მისცა ჟურნალ „გულანს“ და მის დიდ მნიშვნელობას ქართული მეცნიერების განვითარებისათვის.

ავთანდილ მესხი

ავთანდილ ბერიძე

მესხეთო ჩემო

მესხეთო ჩემო,
აღარ ვიცი, რა ვთქვა, რა გითხრა,
რით დაგიამო
უკურნელი სულის იარა,
საღათას ძილი გაგიგრძელდა
ვაი, რა დიდხანს,
საფერებ მკერდზე
ვინ არ აღარ გადაგიარა.

მესხეთო ჩემო,
უწინ დიდო და მხრებგაშლილო,
მიწავ აღმზრდელო რუსთაველის,
თორელ-თმოგველთა,
მესხეთო ჩემო,
ოპიზართა ტკბილო სავანევ,
დიდო აკვანო,
გამჩენელო გმირთა
ყოველთა.

რა არ გინახავს,
რისი მომსწრე აღარ ყოფილხარ,
სისხლის ღვარებსაც წაულეკავს
ეგ მთა-ველები,
ზარზმით, საფარით
და ვარძიით დამშვენებულო,
თუგინდაც მტანჯონ
და ჩამქოლონ,
ვერ შეგელევი.

როგორ გამშვენებს
დანგრეული ციხე-კოშკებიც,
იავარქმნილი გოჯი მიწაც
რარიგ ტკბილია,
შენი კუმურდო,
შენი თმოგვი,
შენი შორეთი,
ესაა ჩვენი სიამაყე
და იდილია.

მუდამ
საფიცრად წილხვედრილო
ახალციხელთა,
და შენ,
ჭეშმარიტ ათაბაგთა მიწავ,
დიადო,
მეწინავეთა აღმზრდელო და
გზების გამკვლევო,
შავშეთის მთებით მოქარგულო
საგანთიადოდ.

აღარც ოპიზა...
აღარც ოშკი...
აღარც პარხალი...
ქართული გენის ნატამალი
რა შერჩენიათ?
მშობლიურ მესხეთს დაუკარგავს
ძველი დიდება,
ღმერთო,
ესაა ისტორიის
განაჩენია?!

ახლა
ძაძებით შემოსილა ბებერი ტაო,
იმედიც,
ალბათ,
აღარა სჩანს,
ირგვლივ კი ბნელა,
საღათას ძილი მორევია
რუსთველის მამულს
და დღეს ნეტავი ვიღას ძალუძს
იმისი შველა?!



ეცხლოვლებიც გაეცნობიან



ქართველი საისტორიო და ლიტერატურული საზოგადოება კარგად იცნობს დაუღალავ მეცნიერსა და მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, არმენოლოგს, ბონდო არველაძეს. მისი ნახევარსაუკუნოვანი დაუღალავი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად ქართველმა (და არა მარტო ქართველმა) მკითხველმა მრავალი უმნიშვნელოვანესი წიგნი, მონოგრაფია თუ სტატია მიიღო, რომელნიც ობიექტური კვლევების ნაყოფია და შეულამაზებლად ასახავს იმ რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ესოდენ საკამათო, სადავო საკითხებს წარმოადგენენ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევარებში. ბატონი ბონდო მხოლოდ ისტორიულად დასაბუთებულ, პირველ წყაროებზე დაყრდნობით და ღრმა მეცნიერული ანალიზით წარმოგვიდგენს თითოეული საკითხის არსს და ძნელია ეჭვი შეიტანო მის უტყუარობაში.

ბატონმა ბონდო არველაძემ ერთ-ერთმა პირველმა აიმაღლა ხმა სადავო ქართულ ისტორიულ კულტურულ ძეგლებსა თუ ეკლესიებზე, რომლებზეც ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ქვეყნის ვაი-მეცნიერი, აბსურდული მოსაზრებებით „ამტკიცებს“ მათ არაქართულ წარმომავლობას და შეცდომაში შეჰყავს გაუთვითცნობიერებელი საზოგადოება ათასგვარი უაზრო „მეცნიერული მტკიცებულებებით“ და ხელოვნურად ძაბავს ჩვენს საუკუნოვან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

ცოტა ხნის წინათ ქართველი საზოგადოება კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის წინაშე დააყენა ბატონმა ბონდო არველაძემ, როდესაც მკითხველს დროულად მიაწოდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებული დასურათებული წიგნი – „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“, რომელმაც ფართო საზოგადოებაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაც იქცა. ეს ინტერესი კი იმდენად დიდი გამოდგა, რომ მისით სხვა გამომცემლობებიც დაინტერსდნენ და ახლახან ინგლისურ ენაზეც ითარგმნა, ახლო მომავალში მას რუსულენოვანი მკითხველიც მიიღებს.

აღნიშნული ნაშრომის თარგმნა და ქვეყნის გარეთ გატანა დიდმნიშვნელოვანი ფაქტია იმისათვის, რომ უცხოელ მეცნიერებს ობიექტური წარმოდგენა შეექმნათ ქართული საეკლესიო ძეგლების ისტორიასა და მათ წარმომავლობა-კუთვნილობაზე.

ავთანდილ მესხი

წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღეს მიეძღვნა

ახლახან ივ.ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **მონიკა ჭანტურიას** ინიციატივით ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში ჩატარდა წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ლიცეუმის მოსწავლეებმა საჯაროდ წაიკითხეს ნაწყვეტები თავიანთ მიერ შერჩეული საყვარელი მწერლების წიგნებიდან და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ახალ თაობაშიც გაჩნდა წიგნისადმი დიდი ინტერესი. ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდობას ბლიც-შეკითხვებზეც მოუხდათ პასუხების გაცემა და ამ მისიასაც შესანიშნავად გაართვეს თავი.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ბორჯომელი მწერლები და ლიტერატურით დაინტერესებული ადამიანები.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი იქნა როგორც ქართველი კლასიკოსების, ასევე თანამედროვე მწერლებისა და ცნობილი პოეტების ნაწარმოებები.

ღონისძიებაში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყვიბისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და ფონდთან – „ჩვენი ბორჯომისათვის“ – არსებულმა სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი **მანანა ღარიშვილი**).

წიგნის საჯარო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ მას მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პედაგოგების გარდა მკითხველთა სოლიდური რაოდენობა დაესწრო.

მონიკა დიოსკურელი

დანისობია

უწინ, მესხეთში, სხვადასხვა გასართობ თამაშებს შორის, გავრცელებული იყო დანისობია. იგი ნებისმიერ დროს შეიძლება ითამაშო, მთავარია სათამაშოდ მცირე, მოტკეპნილი მიწა იყოს.

დანისობიას ძირითადად 10-15 წლის ასაკის ვაჟები თამაშობდნენ, რასაც მეხრეთა თამაშსაც ეძახიან. ერთმანეთს ეჯიბრება არანაკლებ ორი მოთამაშე. დანისობიას თამაშს თავისი წესები ჰქონდა, რომლის დაცვა აუცილებელი იყო მოთამაშეებისთვის.

მაყურებელს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო შეჯიბრში.

თამაშის დაწყებამდე მოთამაშეები და გულშემატკივრები ლამაზად მოტკეპნიდნენ მიწის იმ ნაწილს, სადაც უნდა ეთამაშათ, მერე შეთანხმდებოდნენ თამაშის წესებზე. დამარცხებული მოთამაშე ვალდებული იყო გამარჯვებულის მიერ დანის ტარით ან დანის პირით მიწაში ჩარჭობილი ხუთ სანტიმეტრამდე გათლილი, ე.წ. ხის პალო კბილებით ამოეღო. ამ პროცესს „ღჯნა“-ს ეძახდნენ. წაგებულს კბილის მოკიდება პალოზე ხშირად უჭირდა და სასაცილო სიტუაციას ქმნიდა. მოთამაშეები ყოველთვის ცდილობდნენ არ გამოეყენებინათ ბასრი დანა, მას მხოლოდ წვერი უნდა ჰქონოდა, რომ დანა დარჭობილიყო მიწაზე და მისი პირი საშუალოდ ათი სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო. გრძელპირიანი დანით თამაშს ყოველთვის ერიდებოდნენ.

მოთამაშეები ყოველთვის ცდილობდნენ დანა წვერით დაერჭოთ, თუ ვერ დაარჭობდნენ, მაშინ თამაშს მეორე მოთამაშე გააგრძელებდა.

ისინი ყოველთვის მუხლებზე დაჩოქილები უნდა ყოფილიყვნენ და და დაეცვათ წესები. თამაშს ყველაზე მარტივი ილეთით იწყებდნენ და თანდათან მას რთული ილეთები ცვლიდა. ეს ილეთები იყო:

1.ხელაი;
2.ზურგაი;
3.მუშტაი;
4.სამაი;
5.ტარაი;
6.წვერაი (სამჯერ);
7.ლაჯმანაი;
8.ფხეკანაი (შუბლაი);
9.ცხვირაი;
10.კიჭაი (კბილებით);
11. დაქნეველაი (5-ჯერ);
12. სილაი.

თითოეული ილეთი სრულდებოდა შემდეგნაირად:

1. **ხელაი** – მოთამაშე გაშლილ დანას წვერით თითების წვერისკენ დაიდებს ხელის გულზე. მერე დანას ააგდებს ხელით ისე, რომ დანა წვერით შემოტრიალდეს მოთამაშისაკენ და დაერჭოს მოტკეპნილ მიწაზე;

2. **ზურგაი** – მოთამაშე გაშლილ დანას წვერით თითებისკენ დადებს ხელის ზურგზე, შემდეგ დანას ააგდებს ხელით ისე, რომ დანა წვერით შემოტრიალდეს მოთამაშისკენ და დაერჭოს მოტკეპნილ მიწაზე;

3. **მუშტაი** – მოთამაშე ხელს მოკუმშავს და დანას დაიდებს წვერით დიდი თითისკენ, ჰაერში მარჯვენა ხელიდან მარცხენისკენ გადმობრუნებით, არჭობს დანას მოტკეპნილ მიწაზე ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ;

4. **სამაი** – მოთამაშე დანას დაიჭერს ტარის ბოლოთი და ერთი დაქნევით უნდა დაარჭოს მიწაზე. ეს მოქმედება მეორდება სამჯერ (დანა პირდაპირ უნდა დაერჭოს, ანუ არ უნდა ამოტრიალდეს);

5. **ტარაი** – მოთამაშე დანას დაიჭერს ტარის ბოლოთი წვერით დაბლა და ჯერ გადაიქნევს მარჯვნივ და დაარჭობს მიწაზე, მერე მარცხნივ (ეს სრულდება ორჯერ);

6. **წვერაი** – ამ მოქმედების შესრულებისას მოთამაშე ფეხზე დგომით ასრულებს თამაშს: დანას დაიკავებს წვეროთი და დაიქნევს მიწის (სამიზნის) მიმართულებით. დანა აკეთებს ერთ ბრუნს და ერჭობა წვერით (ასე სრულდება სამჯერ. შეთანხმებით შეიძლება ხუთჯერ);

7. **ლაჯმანაი** – მოთამაშე დანის პირს დაიჭერს საჩვენებელ და შუა თითებს შორის, ხოლო წვეროს გააჩერებს ცერა თითზე, მიწაზე დარჭობის დროს უნდა დაიქნიოს ზემოდან ქვემოთ ისე, რომ დანის დარჭობამდე მოასწროს ცერა თითის გამოცლა და მიწაზე დარჭობა. გამოცდილი მოთამაშეები ამას ისე მოხერხებით აკეთებდნენ, რომ ხელს არ გაიფუჭებდნენ, გამოუცდელმა მოთამაშეებმა კი შესაძლოა დაიზიანონ თითები;

8. **ფხეკანაი** (იგივე შუბლაი) – მოთამაშე დანის პირს სიბრტყით მიიდებს შუბლზე, წვეროთი მაღლა, თავს (შუბლს) ისე დაიჭერს, რომ შუბლიდან ჩამოსრიალებული დანა უნდა დაერჭოს მიწაზე. ამ მოქმედების შესრულებისას მოთამაშეს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ სახე არ დაიზიანოს;

9. **ცხვირაი** – ისე, როგორც შუბლზე, მოთამაშე აქაც დანის პირს სიბრტყით მიიდებს და იჩერებს ცხვირზე წვეროთი მაღლა, ხელს არ აცილებს დანის პირს და ცხვირიდან ჩამოასრიალებს და დაარჭობს მიწაზე წვერით.

10. **კიჭაი** – მოთამაშე დანის წვერს იჭერს კბილებით. თავი ოდნავ დახრილი აქვს. მერე ისე უნდა დაიქნიოს თავი, რომ დანამ ნახევარი წრე გააკეთოს და წვერით დაერჭოს მიწაზე;

11. **დაქნეველაი** – მოთამაშე დგას მუხლებზე ან ფეხზე. ხელში იჭერს დანას წვერით და მოხერხებულად დაიქნევს მიწაზე ისე, რომ დანა ერთხელ მაინც სრულად დატრიალდეს ჰაერში და შემდეგ წვეროთი დაერჭოს მიწაზე. ეს ხუთჯერ მეორდება;

12. **სილაი** – მოთამაშე მარცხენა ხელის გულზე დაიდებს დანას წვერით თითების მიმართულებით. მარცხენა ხელი უკავია მიწის ზევით ჰორიზონტალურად, მერე მარჯვენა ხელით მარცხენას მაჯაზე ისე ურტყამს სილას, რომ ხელისგულიდან დანა უნდა ავაგდოთ ჰაერში და დაერჭოს წვეროთი მიწაზე.

თამაშის მსვლელობის დროს მოთამაშემ თუ დანა ვერ დაარჭო, მაშინ თამაშს აგრძელებს მეორე მოთამაშე. ვინც უფრო ადრე თორმეტივე ილეთს (მოქმედებას) შეასრულებს, ის ითვლება გამარჯვებულად. შემდეგ გამარჯვებული „პალოს“ – შეთანხმების თანახმად, არჭობს მიწაში რამდენიმე დარტყმით დანის პირით ან ტარით, ანუ როცა პალო ჩაერჭობა მიწაში, შემდეგ დამარცხებული ვალდებულია კბილებით ამოაძროს და როცა ამოაძრობს, ამ პროცესს, როგორც ვთქვით, ჰქვია „ღჯნა“. ეს ძალიან მხიარულად სრულდება და დამარცხებული „სიამაყით“ აჩვენებს გამარჯვებულს კბილებით „პალოს“. თუ სურვილი ექნებათ მოთამაშეებს, ხელმეორედ გააგრძელებან თამაშს თავიდან.

მთქმელი რევაზ ანდღულაძე,
63 წლის, 30 აგვისტო, 2013 წელი

ფოლკლორი

***

თათრები მოვლენ არდაგნით,
სამცხისკენ მომდინარია,
დალაშქრეს უდე-არალი,
ივლიტას შეჰკრეს გზანია,
მოდიან, თან კითხულობენ:
„– ნეტავ სადა ჰყავთ ცხვარია“?!
– თათრებო, ცხვარს ვინ გაგატანთ,
რადა ხართ ჭკუა თხელია?
ყველას მარჯვენას წაგაცლით,
აღარც შეგრჩებათ მკლავია,
უკან სათათრეთს წაშავდით,
სანამ გაბიათ თავია!

***

ქალი ვარ მზისა სადარი,
ნაქები სოფელ თემისა,
ბევრი მყავს ხელის მთხოვნელი,
ვაჟები ალვის ტანისა.
ერთია სახელოვანი,
მცხოვრები სოფელ ხვანისა,
თათრების რისხვა, მოყვარის
დიდი იმედი ხვალისა!

***

ხვანაში ატყდა ჩოჩქოლი,
მტერი დაგვესხა თავზედა,
ბიჭი გიორგა ბუზმარეთს
ლოცვად დამდგარა კარზედა.
– გვიშველე, ბიჭო, გიორგა,
თოფი გაიდე მხარზედა,
არ გაიტაცონ ქალ-რძალნი,
არ წაიყვანონ ძალზედა.
იქუხა გიორგას თოფმა,
კვამლ-ტყვია გაიყოლაო,

ბეჭებზე დასცა მურტალნი,
სულ ამოწყვიტა ყველაო.
– ღმერთმა გიშველოს, გიორგა,
არ დარჩი ცარიელაო,
ცხენდაცხენ გადმოიქროლოს,
ხვანა და ირმიჭალაო,
მოგართვეს სასმელ-საჭმელი,
შენს ცხენს კი – თივა, ჩალაო.

***

ვაჟკაცსა სახელოვანსა
მთვარეს უგვანდა მშვენება,
იტყოდა: მუდამ მკვეხარას,
არ მინდა კაცის ჩვენება!

***

ვაჟკაცნო, ხვანას შვილებო,
გააალმასეთ ხმალიო,
არდაგანს გაუტაცნიათ
ჩვენი ლამაზი ქალიო.
შინ ძალით გამოათრიეს,
შელეწეს სახლის კარიო
და თანაც ხელს გააყოლეს
ცხვარი, ძროხა და ხარიო.
საცაა ფოცხოვს გადავლენ,
თხელი ყოფილა წყალიო,
სოფელ ბადელას მიადგნენ,
ძირზე ჩამოსვეს ქალიო.
ეს რომ გიორგამ გაიგო,
ალესა ხანჯალ-ხმალიო,
– ჰაი, დედასა, თათრებო,
ხომ არ გგონივარ მხდალიო,
ქალს არ გაგატანთ, რჯულძაღლნო,
ღმერთმა მიდიდოს გვარიო!
გზა გადაუჭრა თათრებსა,
თოფმაც იქუხა ჩქამიო,
მზეზე ლაპლაპებს ფარ-ხმალი,
ადინა სისხლის ღვარიო,
სულ ამოხოცა თათრები,
შინ დააბრუნა ქალიო!

მთქმელი სიმონ კაჭკაჭიშვილი,
78 წლის, ადიგენის რაიონი,
სოფელი არალი.
ჩაწერილია სოსო გიქოშვილის
მიერ 2017 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ - „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო - „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – - „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com